
ფინანსთა
სამინისტრო
ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ
სახელმწიფო საწარმოთა აგრეგირებული ანგარიში
სექტემბერი
2026
MOF.GE

Contents

შეჯამება 3
სიახლეები სახელმწიფო საწარმოებზე 4
სახელმწიფო საწარმოთა სექტორის მიმოხილვა (რეესტრი) 5
სახელმწიფო საწარმოების მიერ გადახდილი დივიდენდები 9
მეთოდოლოგია კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირების, მათი ანალიზისა და დაფინანსების მექანიზმების საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის შესახებ 10
რა არის კვაზი-ფისკალური აქტივობა? 10
კვაზი-ფისკალური აქტივობების ფორმები 11
არსებული პრაქტიკები 12
კვაზი-ფისკალური აქტივობების გავლენა სახელმწიფო საწარმოთა ფინანსურ შედეგებზე 12
სახელმწიფო საწარმოთა შედეგები 20
სს საქართველოს რკინიგზა 20
სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა 23
საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია 25
სს საქართველოს განვითარების ფონდი 28
შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება 30
შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია 36
სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი 39
შპს საქართველოს ფოსტა 41
შპს ენგურჰესი 43
შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა 45
შპს საქართველოს მელიორაცია 47
შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია 49
სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზი 53
ეკონომიკური სცენარები 54
ანალიზის შედეგები 56
საპროცენტო განაკვეთის შოკის სცენარი 60
კომბინირებული შოკის სცენარი 62
საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) პროექტები 65
PPP ვალდებულებების შეფასება 66
სასამართლო დავებიდან მომდინარე ფისკალური რისკები 66
სტიქიური მოვლენებისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ფისკალური რისკები 68
ფისკალური რისკების გრძელვადიანი ანალიზი 72
დემოგრაფიულ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები 74
დემოგრაფიული ცვლილებები 74
ჯანდაცვასთან დაკავშირებული ხარჯები 75

საპენსიო ხარჯები 76
გრძელვადიანი ფისკალური ეფექტები 77
კლიმატის ცვლილებასთან ასოცირებული რისკები 79
კლიმატის ცვლილების ეფექტები 79
კლიმატის ცვლილების სცენარები და გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობა 79
კლიმატის ცვლილებიდან წარმოშობილი სპეციფიკური ფისკალური რისკები 81
რისკის შემსუბუქების ღონისძიებები 82
დანართი 1: საბაზისო დაშვებები გრძელვადიანი ფისკალური პროგნოზებისათვის 83
დანართი 2: საპენსიო დანახარჯების გამოთვლა 83
დანართები 85
დანართი 1. სახელმწიფო საწარმოები 85
დანართი 2 სახელმწიფო საწარმოთა შვილობილი კომპანიები 101

შეჯამება

საქართველოს ეკონომიკამ ბოლო წლებში გამძლეობა აჩვენა, რასაც ხელს უწყობდა სტაბილური ზრდა, ფისკალური დისციპლინა და საჯარო ფინანსების მართვის რეფორმების უწყვეტობა. თუმცა, მაინც არსებობს მოწყვლადობები, რომლებიც დაკავშირებულია გარე შოკებთან, რეგიონულ არასტაბილურობასთან და კლიმატურ მოვლენებთან. ასეთ გარემოში, აუცილებელია, ფისკალური რისკების დროული იდენტიფიცირება, მუდმივი მონიტორინგი და მათი ნეგატიური შედეგების შემსუბუქება ან სრულად თავიდან აცილება, მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და ფისკალური მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებულმა ანალიზმა მაკროეკონომიკური რისკების გარდა რამდენიმე ძირითადი ფისკალური რისკის წყარო გამოავლინა:

- **სახელმწიფო საწარმოები:** მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვა და ფინანსური ზედამხედველობა ყოველწლიურად უმჯობესდება, მაღალი ვალი რამდენიმე ძირითად კომპანიაში, სექტორული კონცენტრაცია და კვაზიფისკალური საქმიანობები კვლავ მნიშვნელოვან რისკებს უქმნის საჯარო ფინანსებს.
- **საჯარო და კერძო თანამშრომლობები (PPP):** საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფორმატი ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის განვითარებას, აღნიშნულმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის ათვისებაში, ამასთან,

ასეთ პროექტებთან დაკავშირებული გრძელვადიანი ფისკალური ვალდებულებები საჭიროებს ფრთხილ მონიტორინგს, რათა მაკროკრიტიკულ ნიშნულამდე არ დაგროვდეს ცხადი და არაცხადი პირობითი ვალდებულებები.

- **ბუნებრივი კატასტროფები და კლიმატური რისკები:** საქართველო მოწყვლადია გვალვების, წყალდიდობების და სხვა ბუნებრივი კატასტროფების მიმართ, ხოლო კლიმატის ცვლილება სულ უფრო მეტად აღიქმება ფისკალური მოწყვლადობის გამაძლიერებელ ფაქტორად.
- **სხვა პირობითი ვალდებულებები:** სასამართლო დავები, კონკრეტულ სექტორებში არსებული დავალიანებები წარმოადგენს დამატებით ფისკალურ ზეწოლას, რომელიც შეიძლება მოულოდნელად რეალიზდეს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გააძლიერა ფისკალური რისკების მართვის ჩარჩო შემდეგი გზებით:

- სახელმწიფო საწარმოების პორტფელის სრულფასოვანი მონიტორინგი, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებს.
- კორპორაციული განზრახვის განაცხადების (ბიზნეს-გეგმების), სტანდარტიზებული საანგარიშგებო ფორმების დანერგვა, რაც აძლიერებს სახელმწიფო საწარმოთა ანგარიშვალდებულებას.
- გრძელვადიანი ფისკალური რისკების, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, მოსახლეობის დაბერება, გაუმჯობესებული გამჟღავნება.

აღნიშნული ნაბიჯები ზრდის ფისკალურ გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მომავალში გააგრძელებს ფისკალური რისკების სიღრმისეულ ანალიზს და მათ სრულად გამჟღავნებას. პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის სრულად დანერგვა, სტეს-ტესტირების შესაძლებლობების გაძლიერება, კლიმატისა და სტიქიური მოვლენების რისკების კომპლექსური ინტეგრირება ფისკალურ დაგეგმვაში და ფისკალური რისკეიბის მიმართულებით ჩართულ მხარეებს/ინსტიტუციებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება. ფისკალური რისკების მართვაზე მიმართული რეფორმები წარმოადგენენ საჯარო ფინანსების მართვის უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს ქვეყნის ფისკალური მდგრადობისა და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის.

სიახლეები სახელმწიფო საწარმოებზე

სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური შედეგების ბოლო წლების ტენდენცია შენარჩუნდა 2025 წელსაც, კერძოდ, 2025 წელს სახელმწიფო კორპორაციების ჯამურმა წმინდა მოგებამ შეადგინა 431 მილიონი ლარი (2024 წელს 393 მილიონი ლარი), ხოლო სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების ზარალმა 2025 წელს შეადგინა 477 მლნ ლარი (2024 წლის ზარალი - 527 მლნ ლარი).

TOP 3 მომგებიანი სახელმწიფო კორპორაცია 2025 წელს

სს საქართველოს რკინიგზა	153 მლნ
სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	133 მლნ
სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (ჯგუფი)	102 მლნ

TOP 3 ზარალიანი სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმო 2025 წელს

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	-257 მლნ
შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	-187 მლნ
შპს სთარინგ ჯორჯია	-62 მლნ



,,სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის რეესტრის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 15 თებერვლის №45 ბრძანებაში ცვლილება შევიდა ფინანსთა მინისტრის 2025 წლის 7 თებერვლის №32 ბრძანებით და დამტკიცდა სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის განახლებული რეესტრი. 89 საწარმო მიეკუთვნა სახელმწიფო კორპორაციების სექტორს, ხოლო 270 საწარმო - სამთავრობო სექტორს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო საწარმოთა ფლობის დუალისტური მოდელის პილოტირების რეჟიმში, 2023 წლის ივნისიდან აქციონერის/პარტნიორის უფლებამოსილებას ასრულებს 3 სახელმწიფო საწარმოში (სს „საქართველოს რკინიგზა", შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია", შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება").

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მთავრობის განკარგულებით მინიჭებული შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში, 2022 წლის ივნისიდან ასრულებს 7 ძირითადი სახელმწიფო საწარმოს ფინანსური ზედამხედველის როლს, რაც უმთავრესად გულისხმობს საწარმოთა ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების, კორპორაციული განზრახვის განაცხადების, საინვესტიციო და სესხის აღების გადაწყვეტილებების შეთანხმებას

სახელმწიფო საწარმოთა სექტორის მიმოხილვა (რეესტრი)

ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი ფარავს სახელმწიფო საწარმოთა 90%-ს (სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები) ბრუნვის მიხედვით, მათ შორის ცენტრალური ხელისუფლების საწარმოების 100%-ს. ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის მიზნებისთვის სახელმწიფო საწარმოდ განიმარტება კომპანია, რომელშიც სახელმწიფო ან შესაბამისი თვითმმართველი ერთეული ახორციელებს საწარმოს ეფექტურ კონტროლს (ფლობს საკონტროლო პაკეტს).

ფისკალური რისკების მომზადების ეტაპზე იდენტიფიცირებულია 279 სახელმწიფო საწარმო, 113 ცენტრალური ხელისუფლების, ხოლო 166 ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაშია. ასევე, აღნიშნულ საწარმოებს ჯამურად გააჩნიათ 114 შვილობილი საწარმო.

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მართვაში არსებულ სახელმწიფო საწარმოთა რაოდენობა

სახელმწიფოს საწარმოთა ჯამური რიცხვი	**279**
მათ შორის:	
ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაშია	**166**

სახელმწიფოს საწარმოთა ჯამური რიცხვი	**279**
ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებაშია მათ შორის:	**113**
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მართვაში	69
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს /საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მართვაში	3
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მართვაში	8
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მართვაში	12
საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში	3
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	1
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მართვაში	2
საქართველოს კულტურისა სამინისტროს მართვაში	2
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	1
იურიდიული პირების მართვაში	4
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი	7
სახელმწიფოს მიერ შექმნილი საინვესტიციო ფონდი	1

მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული 166 საწარმოდან 28 კომპანია მოდის თბილისისა და ბათუმის მუნიციპალიტეტებზე, რომელთა წლიური ბრუნვის წილი მუნიციპალური საწარმოების მთლიანი ბრუნვის 91.8 პროცენტს შეადგენს.

საწარმოთა განაწილება სექტორებს შორის რაოდენობრივად

დარგი	სულ რაოდენობა	ცენტრალური	მუნიციპალური
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	68	9	59
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	67	33	34
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	40	16	24
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	31	7	24
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	20	9	11
დამამუშავებელი მრეწველობა	19	16	3
სხვა დანარჩენი	34	23	11
სულ	**279**	**113**	**166**

საწარმოთა სექტორებს შორის ბრუნვის მიხედვით

დარგი	სულ საწარმოთა ერთობლივი შემოსავალი 2025 (ათასი ლარი)	ცენტრალური	მუნიციპალური
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	2,914,475	2,865,005	49,470

დარგი	სულ საწარმოთა ერთობლივი შემოსავალი 2025 (ათასი ლარი)	ცენტრალური	მუნიციპალური
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	1,092,485	772,341	320,144
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	439,281	438,860	420
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	357,665	93,887	263,779
დამამუშავებელი მრეწველობა	207,205	207,193	12
სხვა დანარჩენი	263,670	238,691	24,979
სულ	**5,274,782**	**4,615,977**	**658,805**

რაოდენობრივად ყველაზე მეტი - 67 საწარმო წარმოდგენილია ჯანდაცვის სექტორში, თუმცა, მათი წილი სახელმწიფო საწარმოთა ჯამურ ერთობლივ შემოსავალში მხოლოდ 1%-ია. მეორე მხრივ, ენერგეტიკული სექტორის 20 საწარმო ქმნის მთლიანად სახელმწიფო საწარმოთა ერთობლივი შემოსავლის 62%-ს.

სახელმწიფო საწარმოების მიერ მიღებული დაფინანსება

(მლნ. ლარი)

დასახელება	2022	2023	2024	2025
სესხი	-230.0	+60.0	60	0
სუბსიდია	-276.4	-97.4	-263.3	-574,9
დივიდენდი	0.0	0.2	50.0	0
წმინდა ფულადი ნაკადი	-506.4	-37.2	-153.3	-574,9

საქართველოს მთავრობის №2423 2022 წლის 26 დეკემბრის განკარგულების ფარგლებში სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ სახელმწიფო ბიჯეტიდან, დახმარების სახით, მიიღო სესხი 230 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნული სესხის მიზნობრიობას წარმოადგენს 2003 წლის 30 ოქტომბერს კორპორაციასა და კომპანია „South Caucasus Pipeline Option Gas Company“-ს შორის გაფორმებული ოფციური გაზის კონტრაქტის შესაბამისად ოფციური გაზის გაზრდილი მოცულობების საავანსო წესით შესყიდვისა და „სესხის მიმღების“ ფინანსური სტაბილურობის და ლიკვიდურობის უზრუნველყოფა 2022-2023 წლებში საოპერაციო ხარჯების დაფინანსების მიზნით. ამ მომენტისთვის დარჩენილი სესხის ძირი შეადგენს 110 მილიონ ლარს და მისი სრულად დაფარვა დაგეგმილია 2027 წლის ბოლოს. 2025 წელს კომპანიამ გადაიხადა საპროცენტო სარგებელი 47.7 მლნ ლარი.

2023-2025 წწ სახელმწიფო საწარმოების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სუბსიდია

(ათასი ლარი)

კომპანიის დასახელება	2023	2024	2025
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	20,000	153,246	200,019
სთარინგ ჯორჯია	0	0	42,463
შპს საქართველოს მელიორაცია	28,500	25,000	69,006
შპს მოსავლის მართვის კომპანია	18,791	37,598	240,132
შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	4,688	9,136	11,185
შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია	15,000	16,500	79,015

კომპანიის დასახელება	2023	2024	2025
შპს ვ. სანიკიძის სახ ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი	1,200	650	830
შპს ადამ ბერიძის სახ. ნიად. და სურს. დიაგნ ცენტრი ანასეული	250	825	1530
სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული	1,714	0	1754
სხვა დანარჩენი	7,228	19,702	8,768
სულ	**97,371**	**263,314**	**574,937**

კომპანიები შპს საქართველოს მელიორაცია, შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია, შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია დამოკიდებული არიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგულარულ ფინანსურ დახმარებაზე. ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული თანხები მიიმართება როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე ასევე საოპერაციო ხარჯების დასაფარად. ამასთან, მიმდინარე წელს შპს მოსავლის მართვის კომპანიისთვის რთველის პერიოდის ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის ღონისძიების გასატარებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა დახმარებამ შეადგინა 240.1 მლნ ლარი.

ადგილობრივი მთავრობების წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალური სერვისების, მშენებლობის და სხვა სექტორებში თავისი საქმიანობის განხორციელების მიზნით ასევე მუდმივად საჭიროებენ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მხარდაჭერას. 2025 წელს მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილ იქნა 623.3 მლნ ლარი, მათ შორის მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის 3 საწარმოზე მოდის მთლიანი მოცულობის 93%.

2023-2025 წწ მუნიციპალური საწარმოების მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სუბსიდია

(ათასი ლარი)

კომპანიის დასახელება	2023	2024	2025
შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	271,452	308,764	395,578
შპს თბილსერვის ჯგუფი	110,255	145,961	136,273
შპს ეკოსერვის ჯგუფი	28,000	33,000	45,000
შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი	13,534	17,937	8,589
შპს ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია	4,000	4,660	1,890
შპს რუსთავის მუნიციპალურ ავტოტრანსპორტის საწარმო	3,471	6,934	5,539
სხვა დანარჩენი	57,789	18,470	35,925
სულ	**488,501**	**581,984**	**623,257**

სახ. საწარმოებზე გადასესხებული თანხები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

კომპანიის დასახელება	კრედიტის ვალუტა	ვალის ნაშთი კრედიტის ვალუტაში	ვალის ნაშთი ლარში
სახელმწიფო ელექტროსისტემა	USD	51,594	139,051
	EUR	24,750	66,704
	SDR	173,545	467,720
საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	SDR	152,492	410,983
	EUR	175,841	473,908
	USD	206,002	555,197
შ.პ.ს. „ენგურჰესი“	EUR	81,147	218,699
	GEL	7,230	19,486
საქაერონავიგაცია	EUR	0,719	1,939
შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“	EUR	13,182	35,528
სულ ლარში			**2 389,21**

სახელმწიფო საწარმოების მიერ გადახდილი დივიდენდები

- 2024 წლის 29 მაისს ჩატარებულ სხდომაზე კომისიამ განიხილა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი წინადადება შპს „საქაერონავიგაციის“ ბალანსზე რიცხული გაუნაწილებელი მოგების განაწილების და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ ბალანსზე რიცხული გაუნაწილებელი მოგების განაწილების შესახებ წინადადებები.

- კომისიის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შპს „საქაერონავიგაციის“ ბალანსზე რიცხული გაუნაწილებელი მოგების 62.9 მლნ ლარის კომპანიის განკარგულებაში დატოვება, საქართველოს ევროკონტროლში გაწევრიანებიდან გამომდინარე წარმოქმნილი ვალდებულებების დროულად და სრულად შესასრულებლად საჭირო კაპიტალური დანახარჯების დასაფარად, ხოლო შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ ბალანსზე რიცხული გაუნაწილებელი მოგებიდან კომპანიის განარგულებაში 13.1 მლნ ლარის დატოვება შემდგომი რეინვესტირების მიზნით.

- 2024 წლის იანვარში შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მიერ წინა წლების გაუნაწილებელი მოგებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხულ იქნა 50 მლნ ლარი დივიდენდის სახით.

- 2024 წლის 29 ივლისს ჩატარებულ სხდომაზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი წინადადების შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ ბალანსზე რიცხული გაუნაწილებელი მოგების 3.1 მლნ ლარის განაწილების თაობაზე, რომლის მიხედვით აღნიშნული თანხა დარჩა საწარმოს განკარგულებაში, რეინვესტირებისთვის, ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების შესაძენად.

- 2024 წლის 25 დეკემბერს ჩატარებულ სხდომაზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი წინადადების - შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ ბალანსზე რიცხული გაუნაწილებელი მოგებიდან 4.6 მლნ ლარის განაწილების თაობაზე, რომლის მიხედვით, აღნიშნული თანხა დარჩა საწარმოს განკარგულებაში გაზიფიცირების საპროექტო სამუშაოების დასაფინანსებლად და ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების შესაძენად. 2024 წლის 25 დეკემბერს ჩატარებულ სხდომაზე კომისიამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი წინადადების - ჯამში 20 საწარმოს 2023 წლის მდგომარეობით, აკუმულირებული მოგების 168,2 მლნ ლარის განაწილების თაობაზე, რომლის მიხედვით, აღნიშნული თანხა დარჩა საწარმოების განკარგულებაში, საიდანაც 113,3 მლნ ლარი მიიმართა წინა წლებში წარმოქმნილი ზარალის გადაფარვაზე/შემცირებაზე, ხოლო 54,9 მლნ ლარი - რეინვესტირებაზე.

- 2023 წელს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის სხდომა ჩატარდა 2023 წლის 28 მარტს.
- კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი სსს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და იმუნოლოგიის სამეცნიეროპრაქტიკული ცენტრის“ 2017-2020 წლების გაუნაწილებელი მოგების - 1.7 მლნ ლარის განაწილების თაობაზე, რომლის მიხედვით აღნიშნული თანხა დარჩა საწარმოს განკარგულებაში, რეინვესტირებისთვის.
- 2025 წელს არ გამართულა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები კომისიის სხდომა.

მეთოდოლოგია კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირების, მათი ანალიზისა და დაფინანსების მექანიზმების საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის შესახებ

რა არის კვაზი-ფისკალური აქტივობა?

კვაზი-ფისკალურია აქტივობა, რომელსაც სახელმწიფო საწარმო ახორციელებს ცხადად, მთავრობის დავალებით ან ფარულად და ამ საქონლის/მომსახურების მიწოდებისთვის გადახდილი თანხა, საბაზრო ფასზე ან არსებულ პრაქტიკაზე დაბალია. უფრო რომ განვაზოგადოთ, კვაზი-ფისკალურია ნებისმიერი აქტივობა, რომელსაც მოგებაზე ორიენტირებული/კომერციული საწარმო არ განახორციელებდა. ასეთი აქტივობები ძირითადად ემსახურება სოციალურ და პოლიტიკურ მიზნებს.

კვაზი-ფისკალური აქტივობის მაგალითია მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება საბაზრო ფასზე ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად, ასევე, სახელმწიფო საწარმოში დასაქმებულთა შეუსაბამოდ დიდი რაოდენობა ან/და სახელფასო ფონდი.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ ახდენს საწარმოებისთვის ასეთი ტიპის აქტივობების კომპენსირებას ბიუჯეტიდან, სახელმწიფო საწარმოებს თავად უწევთ კვაზი-ფისკალურ აქტივობებთან დაკავშირებული ტვირთის საკუთარ თავზე აღება, რაც აუარესებს მათ ფინანსურ შედეგებს.

კვაზი-ფისკალური აქტივობებიდან მომდინარე ფისკალური რისკების ეფექტიანი მართვისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შეიმუშაოს პოლიტიკა, რომელიც საწარმოთათვის არაკომპენსირებულ კვაზი-ფისკალურ აქტივობებთან დაკავშირებულ ტვირთს შეამსუბუქებს ან ნულამდე დაიყვანს. ასევე, თავიდან უნდა იქნას აცილებული სახელმწიფო საწარმოთათვის ასეთი ტვირთის შემდგომი წარმოშობაც. ამასთან, აღნიშნულის განხორციელება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს დონეზე აღმოფხვრილია ნებისმიერი სხვა სახის არაეფექტურობა და პრაქტიკულად კვაზი-ფისკალური აქტივობის დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხა შემდგომი საანგარიშო წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტს უბრუნდება საწარმოს მიერ გადახდილი დივიდენდის სახით.

კვაზი-ფისკალური აქტივობების ფორმები

კვაზი-ფისკალური აქტივობა შესაძლოა იყოს **ცხადი** (კომპანიის წესდებით, ან მთავრობის/სამინისტროს/უწყების სამართლებრივი აქტით განსაზღვრული) და **ფარული** (კომპანია ახორციელებს კვაზი-ფისკალურ აქტივობებს ამ ფუნქციის სამართლებრივი აქტით დაკისრების გარეშე). ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობის მაგალითია სახელმწიფო საწარმოში დასაქმებულთა საჭიროზე მეტი რაოდენობა სოციალური ან/და პოლიტიკური მიზნებისთვის.

ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობა უნდა იყოს აკრძალული. დაუშვებელია სახელმწიფო საწარმოს მიერ არაკომერციული მომსახურებების (NCSO-ები) განხორციელება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი არიან ცხადი და მათი ღირებულება სრულადაა კომპენსირებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

გარდა ამისა არსებობს შემდეგი სახის კვაზი-ფისკალური აქტივობები:

არაკომეცრიული მომსახურება (NCSO): კომერციულ ფასზე ნაკლები ტარიფის დაწესება. მაგალითად, ხელოვნურად დაბალი ტარიფის დაწესება კომუნალურ სერვისებზე, როგორიცაა ელექტროენერგია, წყალი;

არაძირითადი ფუნქციების განხორციელება: მთავრობის მიერ დაკისრებული ვალდებულებები, მაგალითად კაპიტალური ხარჯის გაწევა, რომელიც არაა დაკავშირებული კომპანიის ძირითად საქმიანობასთან;

სუბსიდირებული შესყიდვები: საბაზროზე მაღალი ფასის გადახდა, მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შეძენა ადგილობრივი ფერმერებისაგან საბაზრო ფასზე მაღალ ფასად, ფერმერების წახალისების მიზნი

მონოპოლიური პოზიციის გამოყენება: მომხმარებლებისაგან კომერციულად არასამართლიანი საფასურის მიღება (იმაზე მეტი ვიდრე ეს გამართებული იქნებოდა კომერციული თვალსაზრისით). დამატებითი შემოსავლების გამოყენება კომპანიის სხვა საქმიანობების ჯვარედინი სუბსიდირების მიზნით. (ერთი საქმიანობის დაფინანსების პრაქტიკა, სხვა საქმიანობიდან მიღებული მოგებით);

სუპერ-დივიდენდები: საწარმოს მიერ იმაზე მეტი დივიდენდის გადახდა, ვიდრე საანგარიშო პერიოდის მოგებით იყო შესაძლებელი. ასეთი გადახდები ხორციელდება ძირითადად საწარმოს აქტივების გაყიდვით (ერთჯერადი ოპერაცია) ან სხვა აკუმულირებული რეზერვებიდან.

ფასის კორექტირება შემოსავლების ზრდის მოკლევადიანი მიზნებისათვის: საქონლისა და მომსახურებისათვის უფრო მაღალი ფასის დაწესება, რათა მოკლევადიან პერიოდში გაიზარდოს სახელმწიფო საწარმოს მოგება და დივიდენდები, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს შეამცირებს საწარმოს წილს ბაზარზე და მის მოგებას საშუალოვადიან პერიოდში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოიყოფა სახელმწიფო საწარმოს კომერციული და არაკომერციული მომსახურებები.

არსებული პრაქტიკები

კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირება, ანალიზი და გამოქვეყნება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2017 წლიდან დაიწყო. უკანასკნელი გამოცდილებით 3 საწარმოში იდენტიფიცირებული ცხადი კვაზი-ფისკალური აქტივობები. თუმცა, ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობები გაცილებით დიდი მოცულობის უნდა იყოს.

ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობის მაგალითია ჭარბი დასაქმება.

კვაზი-ფისკალური აქტივობების გავლენა სახელმწიფო საწარმოთა ფინანსურ შედეგებზე

მლნ ლარი

შპს ენგურჰესი	2024		2025	
	კვაზი	კვაზი	კვაზი	კვაზი
სულ შემოსავალი	126		76	
საოპერაციო შემოსავალი	104		75	
არასაოპერაციო შემოსავალი	23		1	
სულ ხარჯები	125	45	80	64
საოპერაცი ოხარჯები	45	45	50	64
არასაოპერაციო ხარჯები	80		29	
მიუღებელი მოგება		45		64
მოგება დაბეგვრამდე	44	-45	61	-64
მოგების გადასახადი				
წმინდა მოგება	**44**	**-45**	**61**	**-64**

ცხრილიდან ჩანს, რომ შპს ენგურჰესმა ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის უსასყიდლოდ მიწოდებით 64 მილიონი ლარის შემოსავალი დაკარგა. აფაზეთის ტერიტორიაზე ჯამში მიწოდებულ იქნა 1 465.5 მლნ.კვტ.სთ ელექტროენერგია, ქვეყნის შიგნით რეალიზებულ იქნა 1 606.0 მლნ. კვტ.სთ, ექსპორტზე კი გატანილ იქნა 309.2 მლნ კვტ.სთ ელექტოენერგია.

რომ არა აფხაზეთისთვის უსასყიდლოდ მიწოდებული ენერგია, კომპანიის მოგება 2025 წლის ბოლოს 61 მილიონი ლარი იქნებოდა, ამჟამად კი კომპანიამ საანგარიშო წელი 3.7 მილიონი ლარი ზარალით დაასრულა.

მლნ ლარი

სს საქართველოს რკინიგზა	2024		2025	
	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა
სულ შემოსავალი	668	48	674	44
საოპერაციო შემოსავალი	602	46	569	44
არასაოპერაციო შემოსავალი	65	1	105	533
სულ ხარჯები	-593	-54	-516	-49
საოპერაციო ხარჯები	-480	-50	-457	-47
არასაოპერაციო ხარჯები	-114	-4	-59	-2
მიუღებელი მოგება	0	-6	0	-4.8
მოგება დაბეგვრამდე	74	-6	158	-4.8
მოგების გადასახადი	0	0	0	0
წმინდა მოგება	**74**	**- 6**	**158**	**-4.8**

სს საქართველოს რკინიგზის ტვირთბრუნვიდან მიღებული შემოსავალი 2025 წელს 353.6 მლნ ლარს შეადგენს,

საქართველოს რკინიგზის მომხმარებლები ტვირთის გადაზიდვის მსურველები, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები არიან. 2025 წელს საქართველოს რკინიგზამ ჯამში 13.3 მილიონი ტონა ტვირთი გადაიტანა. სს საქართველოს რკინიგზა სწორედ ტვირთბრუნვიდან მიღებული შემოსავლის ხარჯზე ასუბსიდირებს

მგზავრების გადაყვანას. ამ მიმართულებით ნულოვანი მოგების მისაღწევად კომპანიამ 2025 წელს დაახლოებით 4.8 მილიონი ლარით იზარალა. ამის გარდა, გამოწვევას წარმოადგენს მგზავრთა გადაყვანის ტარიფში ინფრასტრუქტურის ცვეთის კომპონენტის ასახვა ან აღნიშნულის დაფარვა კომპანიისთვის ხელმისაწვდომი სხვა სახსრებიდან. აღნიშნულის პასუხად კომპანიასა და მთავრობას შორის გაფორმდა ე.წ. საჯარო მომსახურების კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც რკინიგზას სრულად ან ნაწილობრივ დაუკომპენსირდება მგზავრთა გადაყვანის მიმართულებიდან წარმოქმნილი ზარალი. აღნიშნული წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას და შესაბამისობაშია შესაბამის ევრო-დირექტივებთან. სამგზავრო გადაყვანების მიმართულებით 2025 წელს საქართველოს რკინიგზა დაახლოებით 1.7 მილიონ მგზავრს მოემსახურა.

მლნ ლარი

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	2024		2025	
	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა
სულ შემოსავალი	**1,699**		**1,711**	
საოპერაციო შემოსავალი	1,657		1,665	
არასაოპერაციო შემოსავალი	42		46	
სულ ხარჯები	**1,515**		**1,609**	
საოპერაციო ხარჯები	1,466		1,537	
არასაოპერაციო ხარჯები	50		72	
მიუღებელი მოგება		93		135.5
მოგება დაბეგვრამდე	276	-93	237	-135.5
მოგების გადასახადი				
წმინდა მოგება	**276**	**-93**	**237**	**-135.5**

კომპანია კვლავ მნიშვნელოვან ზარალს განიცდის სოციალური გაზის მიწოდებით. აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2024 წელს შეადგინა 135.5 მილიონი ლარი. უნდა აღინიშნოს, გასულ წელთან მიმართებით, კვაზი ფისკალური აქტივობა გაიზარდა 42 მილიონი ლარით. წლის განმავლობაში სოციალურ სექტორში რეალიზებულ იქნა 2 430 069 000 მ^3 გაზის მოცულობა, ხოლო კომერციულ სექტორში 841 517 000 მ^3. ჯგუფის 2025 წლის წმინდა მოგება შეადგენს 102 მილიონ ლარს, რომ არა სოციალური სექტორისთვის მიწოდებული გაზის მოცულობა, ეს უკანასკნელი 237 მილიონი ლარის ოდენობა იქნებოდა

სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური შედეგების მიმოხილვა

ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის მომზადების მიზნებისთვის, 2025 წლის ფინანსური ანგარიშგებები წარმოადგინა 219-მა საწარმომ. უკანასკნელი 2 წლის მანძილზე გაცვლითი კურსის ეფექტს არ მოუხდენია არსებითი გავლენა სახელმწიფო საწარმოთა ფინანსურ შედეგებზე. თუმცა, საწარმოები კვლავ რჩებიან მოწყვლადები საგარეო ფაქტორების მიმართ.

ბალანსი

მლნ ლარი

სახელმწიფო კორპორაციები	2021	2022	2023	2024	2025
აქტივები	**7 731**	**8 714**	**8 744**	**8 792**	**10 263**
მიმდინარე აქტივები	1 394	2 250	2 127	2 258	2 774
გრძელვადიანი აქტივები	6 337	6 464	6 617	6 534	7 489
კაპიტალი	**2 984**	**4 119**	**4 306**	**4 645**	**6 084**
საწესდებო კაპიტალი	3 833	3 886	3 940	3 785	4 219
კაპიტალში შენატანები	60	68	75	0	427
გაუნაწილებელი მოგება	924	796	823	980	1 454
დაუფარავი ზარალი	-1 951	-911	-717	-477	-436
კაპიტალის სხვა რეზერვი	0	55	55	0	3
არა მაკონტროლებელი წილები	118	0	0	0	85
სხვა დანარჩენი კაპიტალი	1	225	129	357	332
ვალდებულებები	**4 747**	**4 595**	**4 438**	**4 148**	**4 179**
მიმდინარე ვალდებულებები	1 476	1 736	1 603	1 516	1 312
მ. შ მიმდინარე სესხები	883	949	857	816	351
გრძელვადიანი ვალდებულებები	3 271	286	2 835	2 632	2 867
მ. შ გრძელვადიანი სესხები	2 763	2 375	2 377	2 248	2 502
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**7 731**	**8 714**	**8 744**	**8 792**	**10 263**

ბალანსი

მლნ ლარი

სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოები	2021	2022	2023	2024	2025
აქტივები	**5 976**	**4 749**	**5 334**	**6 048**	**6 341**
მიმდინარე აქტივები	1 001	1 374	1 308	1 615	224
გრძელვადიანი აქტივები	4 976	3 376	4 026	4 432	4 101
კაპიტალი	**3 830**	**2 662**	**2 956**	**3 463**	**3 434**
საწესდებო კაპიტალი	7 718	5 730	6 196	6 457	5 846
კაპიტალში შენატანები	0	0	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება	-383	-269	-166	-79	232
დაუფარავი ზარალი	-4 270	-3 769	-4 383	-4 823	-5 159
კაპიტალის სხვა რეზერვი	0	0	0	0	221
არა მაკონტროლებელი წილები	0	0	0	0	0

სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოები	2021	2022	2023	2024	2025
სხვა დანარჩენი კაპიტალი	765	970	1 309	1 908	2 295
ვალდებულებები	**2 146**	**2 088**	**2 378**	**2 585**	**2 907**
მიმდინარე ვალდებულებები	624	692	884	893	1 240
მ. შ მიმდინარე სესხები	173	115	131	54	322
გრძელვადიანი ვალდებულებები	1 522	1 396	1 494	1 692	1 667
მ. შ გრძელვადიანი სესხები	1 274	1 037	1 171	1 328	1 325
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**5 976**	**4 749**	**5 334**	**6 048**	**6 341**

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარი

სახელმწიფო კორპორაციები	2021	2022	2023	2024	2025
შემოსავალი	**3 086**	**3 776**	**3 209**	**3 553**	**3 752**
საოპერაციო შემოსავალი	2 570	3 076	3 032	3 366	3 488
არა საოპერაციო შემოსავალი	516	700	177	188	264
მ. შ კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება	382	576	22	14	77
ხარჯი	**2 574**	**2 784**	**2 920**	**3 161**	**3 318**
საოპერაციო ხარჯი	2 229	2 605	2 682	2 843	3 044
მ.შ. ცვეთა/ამორტიზაცია	245	259	268	263	281
არა საოპერაციო ხარჯი	346	180	238	318	274
მ. შ საპროცენტო ხარჯი	194	144	173	149	124
მ. შ. კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი	14	20	40	120	102
მ.შ. სხვა დანარჩენი არა საოპერაციო ხარჯი	137	16	25	49	49
მოგება დაბეგვრამდე	**512**	**992**	**289**	**392**	**433**
მოგების გადასახადი	1	1	6	0	0
წმინდა მოგება	**548**	**991**	**283**	**393**	**431**

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარი

სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოები	2021	2022	2023	2024	2025
შემოსავალი	**1 689**	**2 320**	**1 762**	**2 155**	**2 570**
საოპერაციო შემოსავალი	1 325	1 648	1 489	1 911	2 114
არა საოპერაციო შემოსავალი	364	672	272	244	456

სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოები	2021	2022	2023	2024	2025
მ. შ. კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება	120	206	2	3	7
ხარჯი	**2 124**	**2 716**	**2 275**	**2 685**	**3 047**
საოპერაციო ხარჯი	1 705	2 363	2 195	2 571	2 948
ცვეთა/ამორტიზაცია	71	74	136	78	80
არა საოპერაციო ხარჯი	419	354	80	114	98
მ. შ. სა პროცენტო ხარჯი	47	42	37	34	20
მ. შ. კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი	2	2	4	33	10
სხვა დანარჩენი არა საოპერაციო ხარჯი	370	308	39	47	67
მოგება დაბეგვრამდე	**-434**	**-396**	**-513**	**-530**	**-476**
მოგების გადასახადი	2	1	0	-1	0
წმინდა მოგება	**-409**	**-397**	**-515**	**-527**	**-477**

ბალანსი

მლნ ლარი

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით)	2021	2022	2023	2024	2025
აქტივები	**15 557**	**15 397**	**16 060**	**16 909**	**18 713**
მიმდინარე აქტივები	2 497	3 860	3 633	4 057	5 142
გრძელვადიანი აქტივები	13 060	11 537	12 427	12 852	13 571
კაპიტალი	**5 709**	**6 018**	**6 472**	**7 150**	**8 633**
საწესდებო კაპიტალი	11 608	9 673	10 194	10 301	10 123
კაპიტალში შენატანები	90	98	104	0	427
გაუნაწილებელი მოგება	541	-321	-220	901	1 686
დაუფარავი ზარალი	-7 412	-468	-5 100	-6 345	-6 568
კაპიტალის სხვა რეზერვი	0	55	55	0	224
არა მაკონტროლებელი წილები	118	0	0	0	85
სხვა დანარჩენი კაპიტალი	764	1 193	1 438	2 293	2 656
ვალდებულებები	**9 848**	**9 379**	**9 588**	**9 759**	**10 080**
მიმდინარე ვალდებულებები	5 055	2 448	2 503	2 435	2 572
მ. შ. მიმდინარე სესხები	3 982	1 064	988	870	672
გრძელვადიანი ვალდებულებები	4 793	6 931	7 085	7 324	7 508
მ. შ. გრძელვადიანი სესხები	4 037	6 087	6 304	6 575	5 911
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**15 557**	**15 397**	**16 060**	**16 909**	**18 713**

ბალანსი

მლნ ლარი

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე)	2021	2022	2023	2024	2025
აქტივები	**13 707**	**13 463**	**14 078**	**14 840**	**16 604**
მიმდინარე აქტივები	2 395	3 624	3 435	3 873	5 014
გრძელვადიანი აქტივები	11 313	9 840	10 643	10 967	11 591
კაპიტალი	**6 814**	**6 781**	**7 262**	**8 107**	**9 519**
საწესდებო კაპიტალი	11 551	9 616	10 136	10 243	10 065
კაპიტალში შენატანები	60	68	75	0	427
გაუნაწილებელი მოგება	541	527	657	901	1 686
დაუფარავი ზარალი	-6 221	-4 680	-5 100	-5 301	-5 595
კაპიტალის სხვა რეზერვი	0	55	55	0	224
არა მაკონტროლებელი წილები	118	0	0	0	85
სხვა დანარჩენი კაპიტალი	766	1 195	1 438	2 264	2 627
ვალდებულებები	**6 893**	**6 683**	**6 816**	**6 733**	**7 086**
მიმდინარე ვალდებულებები	2 100	2 428	2 487	2 408	2 552
მ. შ. მიმდინარე სესხები	1 056	1 064	988	870	672
გრძელვადიანი ვალდებულებები	4 793	4 256	4 329	4 324	4 534
მ. შ. გრძელვადიანი სესხები	4 037	3 412	3 548	3 576	3 827
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**13 707**	**13 463**	**14 078**	**14 840**	**16 604**

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარი

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით)	2021	2022	2023	2024	2025
შემოსავალი	**4 939**	**6 480**	**4 981**	**5 795**	**6 444**
საოპერაციო შემოსავალი	3 895	4 724	4 521	5 277	5 602
არა საოპერაციო შემოსავალი	1 044	1 756	460	518	842
მ. შ. კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება	666	1 166	35	103	205
ხარჯი	**4 739**	**5 542**	**5 234**	**6 100**	**6 415**
საოპერაციო ხარჯი	3 958	4 993	4 902	544	6 019
ცვეთა/ამორტიზაცია	318	334	405	342	363
არა საოპერაციო ხარჯი	781	549	332	660	396
მ. შ. სა პროცენტო ხარჯი	257	201	224	199	162
მ. შ. კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი	16	22	44	361	113
სხვა დანარჩენი არა საოპერაციო ხარჯი	508	324	64	100	121
მოგება დაბეგვრამდე	**202**	**939**	**-253**	**-305**	**29**
მოგების გადასახადი	3	2	6	-1	0
წმინდა მოგება	**263**	**939**	**-261**	**-302**	**26**

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარი

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე)	2021	2022	2023	2024	2025
შემოსავალი	**4 775**	**6 096**	**4 971**	**5 708**	**6 322**
საოპერაციო შემოსავალი	3 895	4 724	4 521	5 277	5 602
არა საოპერაციო შემოსავალი	880	1 372	449	432	720
მ. შ. კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება	502	782	24	17	83
ხარჯი	**4 698**	**5 500**	**5 195**	**5 846**	**6 365**
საოპერაციო ხარჯი	3 934	4 968	4 877	5 414	5 992
ცვეთა/ამორტიზაცია	316	333	404	340	361
არა საოპერაციო ხარჯი	765	534	318	432	372
მ. შ. სა პროცენტო ხარჯი	241	186	210	183	144
მ. შ. კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი	16	22	44	153	112
სხვა დანარჩენი არა საოპერაციო ხარჯი	507	324	64	96	116
მოგება დაბეგვრამდე	**78**	**596**	**-224**	**-138**	**-43**
მოგების გადასახადი	3	2	6	-1	0
წმინდა მოგება	**139**	**594**	**-232**	**-134**	**-46**

საწარმოს დასახელება	2021	2022	2023	2024	2025
სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო
სს საქართველოს რკინიგზა	საშუალო	დაბალი	საშუალო	საშუალო	საშუალო
სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	საშუალო	მაღალი	ძალიან მაღალი	მაღალი	მაღალი
შპს ენგურჰესი	საშუალო	დაბალი	საშუალო	საშუალო	საშუალო
სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო
შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	დაბალი	დაბალი	დაბალი	საშუალო	საშუალო
შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო
შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	დაბალი	დაბალი	დაბალი	საშუალო	საშუალო
სს სააქართველოს განვითარების ფონდი (ინდივიდუალური)	საშუალო	დაბალი	დაბალი	დაბალი	დაბალი
შპს საქართველოს ფოსტა	დაბალი	საშუალო	დაბალი	დაბალი	დაბალი
სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო	დაბალი	დაბალი	დაბალი	დაბალი	დაბალი
სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	საშუალო	საშუალო	დაბალი	დაბალი	დაბალი
შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო

სახელმწიფო საწარმოთა შედეგები

სს საქართველოს რკინიგზა



სახელმწიფოს წილი: 100% (2023 წლის ივნისიდან კომპანიის აქციების 50% მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს).

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: რკინიგზის სატვირთო ტრანსპორტი, მგზავრთა გადაყვანა.

გენერალური დირექტორი: ლაშა აბაშიძე სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: კონსტანტინე გუნცაძე

ძირითადი საქმიანობა:

- სატვირთო გადაზიდვა, მათ შორის, სატვირთო ვაგონების გაქირავება;
- მგზავრთა გადაყვანა;
- ინფრასტრუქტურა - ლიანდაგების, ჯებირების, სარკინიგზო სიგნალიზაციის, ელექტროხაზების და სხვა აღჭურვილობის შენარჩუნება და მართვა, ასევე, სარკინიგზო ხაზების მშენებლობა.
- სს ,,საქართველოს რკინიგზის'' (ჯგუფი) აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად, 2025 წელს ჯგუფის წმინდა მოგებამ შეადგინა 153 მლნ ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს 85 მლნ ლარით აღემატება.

- ჯგუფის შემოსავლის დიდი ნაწილი წარმოიქმნება სატვირთო გადაზიდვებიდან. ტვირთის გადაზიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა 2025 წელს მთლიანი შემოსავლის 58% შეადგინა (2024 წელს 56%). 2025 წელს ჯამური საოპერაციო ხარჯები დაახლოებით 21.3 მილიონი ლარით

შემცირდა წინა წელთან შედარებით (შემცირება ძირითადად მოიცავს ისეთ ხარჯებს როგორებიცაა: ლოგისტიკური მომსახურების ხარჯი, მასალის ხარჯი და რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯი)

- ჯგუფმა 2025 წელს 56.5 მილიონი ლარის წმინდა სავალუტო შემოსავალი დააფიქსირა, რაც ლარის აშშ დოლართან მიმართებით გამყარებით იყო გამოწვეული.
- სამგზავრო გადაყვანების მიმართულებით, 2025 წელს საქართველოს რკინიგზა დაახლოებით 1.7 მილიონ მგზავრს მოემსახურა, 2025 წელს გადაიტანა 13,3 მლნ ტონა ტვირთი.
- 2025 წლის ბოლოს ექსპლუატაციაში შევიდა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი – რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტი. პროექტის შედეგად უღელტეხილის მონაკვეთის სრული რეკონსტრუქციის, ახალი გვირაბებისა და ხიდების მშენებლობისა და თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნის შედეგად, საქართველოს რკინიგზის წლიური სატვირთო გამტარუნარიანობა გაორმაგდა.
- 2025 წელს დაიწყო საქართველოს რკინიგზის ელექტრო ლოკომოტივების პარკის განახლების სტრატეგიული პროექტი. 2026 წელს საქართველოს მთავრობის, საქართველოს რკინიგზისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მონაწილეობით გაფორმდა პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, რის საფუძველზეც დაიწყო 45 ახალი ელექტრო ლოკომოტივის შესყიდვის პროცესი.

ბალანსი

მლნ ლარი

სს საქართველოს რკინიგზა	2021	2022	2023	2024	2025
აქტივები	**2 260**	**2 400**	**2 496**	**2 585**	**2 687**
მიმდინარე აქტივები	272	339	363	493	494
გრძელვადიანი აქტივები	1 988	2 061	2 133	2 092	2 193
კაპიტალი	**413**	**781**	**868**	**936**	**1 090**
საწესდებო კაპიტალი	1 055	1 055	1 055	1 055	1 056
კაპიტალში შენატანები	0	0	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება	0	0	0	0	0
დაუფარავი ზარალი	-742	-374	-288	-219	-67
სხვა დანარჩენი კაპიტალი	101	101	101	101	101
ვალდებულებები	**1 847**	**1 618**	**1 628**	**1 649**	**1 598**
მიმდინარე ვალდებულებები	153	163	205	156	199
მ.შ. მიმდინარე სესხები	16	14	36	15	14
გრძელვადიანი ვალდებულებები	1 694	1 455	1 423	1 493	1 398
მ.შ. გრძელვადიანი სესხები	1 591	1 378	134	1 411	1 345
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**2 260**	**2 400**	**2 496**	**2 585**	**2 687**

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარი

სს საქართველოს რკინიგზა	2021	2022	2023	2024	2025
შემოსავალი	**665**	**940**	**687**	**715**	**717**
საოპერაციო შემოსავალი	557	691	636	671	624
არასაოპერაციო შემოსავალი	108	249	51	44	93

სს საქართველოს რკინიგზა	2021	2022	2023	2024	2025
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება	84	219	12	0	56
ხარჯი	**612**	**543**	**600**	**647**	**565**
საოპერაციო ხარჯი	391	472	539	525	505
ცვეთა/ამორტიზაცია	58	67	77	59	61
არასაოპერაციო ხარჯი	220	70	61	121	60
მ.შ. საპროცენტო ხარჯი	101	64	61	61	58
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	0	0	0	56	0
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	119	6	0	4	3
მოგება დაბეგვრამდე	**53**	**397**	**87**	**68**	**153**
მოგების გადასახადი	1	1	1	0	0
წმინდა მოგება	**53**	**397**	**87**	**68**	**153**

ფინანსური კოეფიციენტები

სს საქართველოს რკინიგზა	2021	2022	2023	2024	2025
ROA	2%	17%	3%	3%	6%
ROE	13%	51%	10%	7%	14%
Current Ratio	1,78	2,08	1,77	3,16	2,48
Debt to Equity	447%	207%	188%	176%	147%

წელი	2021	2022	2023	2024	2025
Return on Assets	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი
Return on Equity	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი
Current Ratio	დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი
Debt to Equity	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი
რისკის საერთო რეიტინგი	საშუალო რისკიანი	დაბალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი

სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა



სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: ელექტროენერგიის გადაცემა

გენერალური დირექტორი: დავით ვარდიშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: იორგ მათიესი

ძირითადი საქმიანობა:

- ლექტროენერგიის გადაცემა და დისპეტჩერიზაცია (გადამცემი სისტემის ერთადერთი ოპერატორი);
- სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის შემოსავლის ნაწილი რეგულირებულია რეგულატორის მიერ. აუცილებელია, ინფრასტრუქტურული პროექტები დაიგეგმოს ისე, რომ არ დაირღვეს კომპანიის კომერციული ინტერესები, კომპანიას არ შეექმნას მოკლე და საშუალოვადიანი ლიკვიდურობის პრობლემები;

2025 წელს კომპანიის შემოსავალი გაიზარდა, რაც, ძირითადად, გამოწვეულია გადაცემის მომსახურების ტარიფის და მოცულობის გაზრდით. გადაცემის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები წინა წელთან შედარებით გაიზარდა 23%-ით, რაც განპირობებულია გადაცემის მომსახურების ტარიფის და მოცულობის გაზრდით. ხოლო ექსპორტი და ტრანზიტის შემოსავლები შემცირდა 43% და 15%-ით .[1]

ბალანსი

მლნ ლარი

სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	2021	2022	2023	2024	2025
აქტივები	**1 490**	**1701**	**1867**	**1 941**	**2 080**
მიმდინარე აქტივები	67	224	208	194	191
გრძელვადიანი აქტივები	1 424	1 476	1 659	1 747	1 889
კაპიტალი	**152**	**503**	**600**	**735**	**892**
საწესდებო კაპიტალი	663	665	678	679	681
კაპიტალში შენატანები	0	0	0	86	111
გაუნაწილებელი მოგება	235	0	0	0	100
დაუფარავი ზარალი	-769	-231	-146	-33	0
სხვა დანარჩენი კაპიტალი	23	68	68	3	0
ვალდებულებები	**1 339**	**1 198**	**1 267**	**1 206**	**1 188**
მიმდინარე ვალდებულებები	211	230	359	361	387
მ.შ. მიმდინარე სესხები	130	135	201	204	165

წყარო: სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" 2024 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება და 2024 წლის მმართველობითი ანგარიში.

სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	2021	2022	2023	2024	2025
გრძელვადიანი ვალდებულებები	1 128	968	908	845	801
მ.შ. გრძელვადიანი სესხები	872	713	668	613	533
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**1 490**	**1 701**	**1 867**	**1 941**	**2 080**

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარი

სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	2021	2022	2023	2024	2025
შემოსავალი	**448**	**539**	**364**	**380**	**438**
საოპერაციო შემოსავალი	297	356	339	362	424
არასაოპერაციო შემოსავალი	151	184	24	18	14
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება	138	168	0	2	0
ხარჯი	**214**	**235**	**279**	**267**	**304**
საოპერაციო ხარჯი	173	193	214	228	223
ცვეთა/ამორტიზაცია	65	71	72	77	80
არასაოპერაციო ხარჯი	41	42	64	39	81
მ.შ. საპროცენტო ხარჯი	40	42	43	16	9
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	0	0	21	0	43
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	0	0	0	22	29
მოგება დაბეგვრამდე	**235**	**304**	**85**	**113**	**133**
მოგების გადასახადი	0	0	0	0	0
მოგება-ზარალის სხვა პუნქტი			0	0	1
წმინდა მოგება	**235**	**304**	**85**	**113**	**133**

ფინანსური კოეფიციენტები

სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	2021	2022	2023	2024	2025
ROA	16%	18%	5%	6%	6%
ROE	155%	61%	14%	15%	15%
Current Ratio	0,32	0,98	0,58	0,54	0,49
Debt to Equity	883%	238%	211%	164%	133%

წელი	2021	2022	2023	2024	2025
Return on Assets	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი
Return on Equity	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი
Current Ratio	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი
Debt to Equity	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: საბითუმო ვაჭრობა ბუნებრივი აირით

გენერალური დირექტორი: ეკატერინე სისაური

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ვაჟა ხიდაშელი

ძირითადი საქმიანობა:

„ჯგუფის“ ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი გაზის იმპორტი და საბითუმო გაყიდვა, ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება, ნავთობსადენების და გაზსადენების იჯარა და ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიება და მოპოვება საქართველოში.

2025 წელს ჯგუფის ამონაგები (1,665 მლნ ლარი) წინა წელთან შედარებით გაიზარდა, რაც უმეტესწილად განაპირობა გაზის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის მატებამ. გაზის ხარჯის ზრდა 2025 წელს ძირითადად განაპირობა გაზის თვითღირებულების ზრდამ. ამასთან, 2025 წელს ჯგუფმა 31 მლნ ლარის ოდენობის საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი მიიღო.

2025 წელს ჯგუფის წმინდა მოგება 2024 წელთან შედარებით შემცირდა 81.6 მლნ ლარით.
[2]

[2] წყარო: სს ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის” 2025 წლის აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში.

ბალანსი

მლნ ლარი

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	2021	2022	2023	2024	2025
აქტივები	**1 901**	**2 264**	**2 040**	**2 187**	**2 209**
მიმდინარე აქტივები	538	978	788	944	1 073
გრძელვადიანი აქტივები	1 363	1 285	1 252	1 242	1 136
კაპიტალი	**1 045**	**1 078**	**1 135**	**1 319**	**1 418**
საწესდებო კაპიტალი	646	695	695	698	701
კაპიტალში შენატანები	60	68	75	75	79
გაუნაწილებელი მოგება	503	543	592	747	835
დაუფარავი ზარალი	0	0	0	0	0
კაპიტალის სხვა რეზერვი	0	55	55	0	0
სხვა დანარჩენი კაპიტალი	-282	-282	-282	-282	-282
არამაკონტროლებელი წილები	118	0	0	82	85
ვალდებულებები	**856**	**1 185**	**904**	**867**	**792**
მიმდინარე ვალდებულებები	856	1 128	778	867	423
მ.შ. მიმდინარე სესხები	711	797	613	572	134
გრძელვადიანი ვალდებულებები	0	57	127	0	369
მ.შ. გრძელვადიანი სესხები	0	57	127	0	369
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**1 901**	**2 264**	**2 040**	**2 187**	**2 209**

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარი

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	2021	2022	2023	2024	2025
შემოსავალი	**1 251**	**1 511**	**1 451**	**1 699**	**1711**
საოპერაციო შემოსავალი	1 115	1 353	1 405	1 657	1 665
არასაოპერაციო შემოსავალი	136	158	47	42	46
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება	114	134	0	7	0
ხარჯი	**1 113**	**1 402**	**1 401**	**1 515**	**1 609**
საოპერაციო ხარჯი	1 066	1 371	1 338	1 466	1 537
ცვეთა/ამორტიზაცია	71	63	64	64	70
არასაოპერაციო ხარჯი	47	31	64	50	72
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	46	31	58	50	40
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	0	0	6	0	31

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	2021	2022	2023	2024	2025
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	1	0	0	0	1
მოგება დაბეგვრამდე	**138**	**109**	**50**	**183**	**102**
მოგების გადასახადი	0	0	0	0	0
წმინდა მოგება	**138**	**109**	**50**	**183**	**102**

ფინანსური კოეფიციენტები

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	2021	2022	2023	2024	2025
ROA	7%	5%	2%	8%	5%
ROE	13%	11%	4%	14%	7%
Current Ratio	0,63	0,83	1,01	1,09	2,54
Debt to Equity	82%	121%	80%	66%	56%

წელი	2021	2022	2023	2024	2025
Return on Assets	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი
Return on Equity	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი
Current Ratio	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი
Debt to Equity	დაბალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	დაბალ რისკიანი	დაბალ რისკიანი	დაბალ რისკიანი
რისკის საერთო რეიტინგი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი

სს საქართველოს განვითარების ფონდი



სახელმწიფოს წილი: 100%

საფინანსო მომსახურების სხვა საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების გარდა, სხვა ჯგუფებში ჩაურთველი

აღმასრულებელი დირექტორი:
ბესიკ ბუგიანიშვილი
სამეთვალყურეოსაბჭოს თავმჯდომარე: დავით საგანელიძე

ძირითადი საქმიანობა:

- საინვესტიციო საქმიანობა - ინვესტიციების განხორციელება პრიორიტეტულ სექტორებში: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა. კომპანიაში ამ მომენტისათვის არ არის დასრულებული აუდიტის პროცესი. ქვემოთ წარმოდგენილია ფონდის 2025 წლის არააუდირებული ინდივიდუალური ანგარიშგება, ხოლო კონსოლიდირებული

ანგარიშგება არ არის ხელმისაწვდომი.

ბალანსი

მლნ ლარი

სს საქართველოს განვითარების ფონდი (ინდივიდუალური)	2021	2022	2023	2024	2025
აქტივები	**1 506**	**205**	**387**	**364**	**394**
მიმდინარე აქტივები	24	98	276	226	225
გრძელვადიანი აქტივები	1 482	107	110	138	169
კაპიტალი	**1 344**	**156**	**332**	**363**	**393**
საწესდებო კაპიტალი	100	100	194	194	191
კაპიტალში შენატანები	0	0	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება	0	111	138	169	202
დაუფარავი ზარალი	-832	0	0	0	0
სხვა დანარჩენი კაპიტალი	2 077	-55	0	0	0
ვალდებულებები	**162**	**49**	**54**	**2**	**1**
მიმდინარე ვალდებულებები	109	1	54	2	1
მ.შ. მიმდინარე სესხები	108	0	0	0	0
გრძელვადიანი ვალდებულებები	52	48	0	0	0
მ.შ. გრძელვადიანი სესხები	52	0	0		0
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**1 506**	**205**	**387**	**364**	**394**

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარი

სს საქართველოს განვითარების ფონდი (ინდივიდუალური)	2021	2022	2023	2024	2025
შემოსავალი	**15**	**128**	**43**	**36**	**38**
საოპერაციო შემოსავალი	-2	93	33	25	25
არასაოპერაციო შემოსავალი	17	34	10	11	14
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება	0	0	0	0	0
ხარჯი	**22**	**163**	**16**	**6**	**11**
საოპერაციო ხარჯი	8	150	12	6	7
ცვეთა/ამორტიზაცია	0	0	0	0	0
არასაოპერაციო ხარჯი	13	14	4	0	3
მ.შ. საპროცენტო ხარჯი	13	14	0	0	0
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	0	0	4	0	3
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	0	0	0	0	0
მოგება დაბეგვრამდე	**-7**	**-36**	**27**	**29**	**27**
მოგების გადასახადი	1	0	0	-1	0
წმინდა მოგება	-8	-36	27	30	28

ფინანსური კოეფიციენტები

საპროცენტო განაკვეთის შოკის გავლენა სახელმწიფო საწარმოთა ფინანსურ მაჩვენებლებზე ასახულია ქვემოთ მოცემულ 7-9 გრაფიკებში. უარყოფითი შედეგი ცხადია, თუმცა, არაარსებითია გაცვლითი კურსის შოკით გამოწვეულ შედეგებთან შედარებით. ვინაიდან საწარმოთა უმეტეს ნაწილს სესხების პორტფელის უდიდესი წილი აქვთ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, საპროცენტო განაკვეთის ზრდის ნეგატიური ეფექტი გარკვეულწილად შერბილებულია და შესაბამისად საწარმოები დაცულები არიან საპროცენტო განაკვეთების ზრდის რისკისგან.


გრაფიკი 7. საწარმოთა გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების კლება საპროცენტო განაკვეთის შოკის გამო

საპროცენტო განაკვეთის ზრდა ამცირებს საწარმოთა დაგეგმილ წმინდა მოგებას გადასახადების შემდეგ დაახლოებით 8-14 მილიონი ლარის ფარგლებში.




გრაფიკი 8. საწარმოთა წმინდა ღირებულების შემცირება საპროცენტო განაკვეთის შოკის გამო

საპროცენტო განაკვეთის შოკის რეალიზების გამო საწარმოთა ჯამური წმინდა ღირებულება მცირდება დაახლოებით 14-29 მილიონი ლარის ფარგლებში. შოკის შედეგად გამოწვეული დანაკარგი წმინდა ღირებულებაში მუდმივია.



გრაფიკი 9. საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის ზრდა საპროცენტო განაკვეთის შოკის სცენარის გათვალისწინებით

საპროცენტო განაკვეთის შოკი იწვევს საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტის უმნიშვნელო ზრდას 2027 წელს., მომდევნო წლებში მცირე კლების ტენდენციით.




კომბინირებული შოკის სცენარი

კომბინირებული შოკის პირობებში, სამივე მაკროეკონომიკური მაჩვენებელი (მშპ, გაცვლითი კურსი, საპროცენტო განაკვეთები) ერთდროულად განიცდის შოკს, თითოეული შოკის დიაპაზონი და ხანგრძლივობა იგივეა, რაც აღწერილია წინა სცენარებში. კომბინირებული შოკების გავლენა სახელმწიფო საწარმოების ფინანსურ მახასიათებლებზე და პოზიციებზე ძალიან მნიშვნელოვანია, უმეტესწილად, როგორც უკვე აღვწერეთ, გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. შედეგები ასახულია ქვემოთ მოცემულ 10-12 გრაფიკებში.


გრაფიკი 10. გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების კლება კომბინირებული შოკების სცენარისთვის

დაბალი ეკონომიკური ზრდის, ვალუტის გაუფასურების და საპროცენტო განაკვეთის კომბინაციას მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ საწარმოთა წმინდა მოგებაზე. კომბინირებული შოკის პირობებში დაგეგმილი წმინდა მოგება გადასახადების შემდეგ მცირდება დაახლოებით 1 515 მილიონი ლარით. აღნიშნული კლება შეადგენს მშპ-ს დაახლოებით 2%-მდე



გრაფიკი 11. საწარმოთა წმინდა ღირებულების შემცირება კომბინირებული შოკის სცენარისთვის


კომბინირებული შოკის სცენარის პირობებში საწარმოთა ჯამური წმინდა ღირებულება მცირდება დაახლოებით იმავე მოცულობით, რითაც გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების მაჩვენებელი, დაახლოებით 1 514 მილიონი ლარით. წმინდა ღირებულების დანაკარგის მცირედით გაჯანსაღება შემდგომ პერიოდში მოსალოდნელია



გრაფიკი 12. საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის ზრდა კომბინირებული შოკის სცენარისთვის

კომბინირებული შოკის სცენარის პირობებში საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის მაჩვენებელი იზრდება დაახლოებით 15%-ით.

საბაზისო სცენარში, საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენს 50%-ს 2027 წლისთვის. კომბინირებული ეკონომიკური შოკი იწვევს ამ მაჩვენებლის ზრდას დაახლოებით 65%მდე 2027 წლისთვის.



დასკვნები

იუხედავად იმისა, რომ საწარმოები გეგმავენ მაჩვენებლების გაუმჯობესებას, მათი ვალების ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ მათზე არსებით ზემოქმედებას ახდენენ ეკონომიკური შოკები. მათი ჯამური ვალის უმეტესი წილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, რაც ნიშნავს, რომ საწარმოები და მათი მფლობელი (სახელმწიფო) ვალუტის გაუფასურების შოკის მიმართ ძალიან მოწყვლადები არიან.

წარმოდგენილი ანალიზი ხაზს უსვამს, რომ სავალუტო კურსის რისკი ამ მომენტისთვის არის უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური რისკი, რომლის წინაშეც მოცემულ საწარმოთა ჯგუფი დგას. განხილული ხუთივე საწარმო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გაცვლითი კურსის ცვლილებაზე. მოცემული ანალიზი მიუთითებს, რომ გაცვლითი კურსის შოკის გავლენა ძალიან დიდია საწარმოთა ჯამურ მაჩვენებლებზე: გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების და წმინდა ღირებულების შემცირება დაახლოებით 1,500 მლნ ლარის ფარგლებშია, ხოლო კომპანიების ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი იზრდება 15%-ით. გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების უარყოფითი ცვლილება შეადგენს საქართველოს მშპ-ს დაახლოებით 2%-მდე.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ გაცვლითი კურსის შოკის რეალიზაციის შემთხვევაში გარდა დაგეგმილი საბიუჯეტო შენატანებისა, სახელმწიფოს მოუწევს დაახლოებით 1,500 მლნ ლარამდე შენატანების განხორციელება აღნიშნულ საწარმოებში, რაც დამატებითი ფინანსურ ტვირთად დააწვება სახელმწიფოს.

ანალიზი მიუთითებს, რომ სახელმწიფო საწარმოები გაცვლითი კურსის გაუფასურებისგან განსხვავებით გაცილებით ნაკლებად რეაგირებენ ეკონომიკურ დაღმასვლებზე და გაზრდილ საპროცენტო განაკვეთებზე. ასევე, მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური დაღმასვლა, საპროცენტო განაკვეთის ზრდა კორელირებული და კომბინირებული იქნება ვალუტის გაცვლითი კურსის გაუფასურებასთან, რაც საბოლოოდ გამოიწვევს დიდ ნეგატიურ ეფექტებს, როგორც აღწერილია მოცემულ ანალიზში.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) პროექტები

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში PPP პროექტები კონცენტრირებულია ენერგეტიკის სექტორში. გამონაკლისია მხოლოდ თბილისის საერთაშორისო აეროპორტისა და ანაკლიის პორტის პროექტები. კანონმდებლობა საინიციატივო შეთავაზებებს (Unsolicited Proposal) მხოლოდ ენერგეტიკის სექტორში უშვებს. ეს ინვესტიციების მოზიდვის დამატებით შესაძლებლობას ქმნის, თუმცა, კონკურენციის არ არსებობის პირობებში ბიუჯეტისთვის უფრო მაღალი ფისკალური რისკის მატარებელია.

ფისკალური რისკები

პანდემიის შემდგომ პერიოდში PPA-ებით (Power Purchase Agreements) გამოწვეული პირობითი ვალდებულებები ბიუჯეტის მიმართ მნიშვნელოვნად შემცირდა. მიუხედავად ამისა, კონკურენციის გარეშე საინიციატივო შეთავაზებების მიღება კვლავ ზრდის ფისკალურ რისკებს, რადგან პროექტების ღირებულება ასეთ პირობებში, როგორც წესი, უფრო მაღალია.

მხარდაჭერის მექანიზმები

საბაზრო პრინციპებზე ახალი მხარდაჭერის სქემები, მათ შორის ფასთა სხვაობის ხელშეკრულებები (Contracts for Difference – CfD), ფისკალური რისკების შემცირების მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მართალია CfD მოკლევადიან ლიკვიდურობის პრობლემებს შეიძლება წარმოშობდეს, მაგრამ სწორი დაგეგმვის პირობებში ეს ბიუჯეტზე დამატებით ზეწოლას არ იწვევს, თუმცა აღნიშნული მექანიზმი არ გამორიცხავს ფინანსური ვალდებულებების წარმოშობას.

აუქციონები და შედეგები

2024-2025 წლებში ჩატარებულმა ორმა CFD აუქციონმა განახლებადი ენერგიის მრავალფეროვანი პროექტები მოიცვა: ჰიდრო, ქარისა და მზის სადგურები, მათ შორის ენერგიის შენახვის სისტემების გამოყენებით დაგეგმილი პროექტები. პირველი აუქციონის შედეგად გაუკეთდა შეთავაზება 275 მგვტ სიმძლავრის მქონე 18 პროექტს, 901 გიგავატსაათის გენერაციის შესაძლებლობით. მეორე, უფრო მასშტაბურმა აუქციონმა უკვე 557 მგვტ სიმძლავრე მოიცვა, სადაც განაწილება სხვადასხვა ტიპის ჰიდროელექტროსადგურებსა და სხვა განახლებად წყაროებს შორის მოხდა. პირველი და მეორე სიმძლავრის აუქციონების ფარგლებში, გათვალისწინებული სიმძლავრის 45.3% ჰიდროელექტროსადგურებზე, 31.3% - მზის, ხოლო 23.4% - ქარის ელექტროსადგურებზე განაწილდა.

ინსტიტუციური სიახლეები

CFD კონტრაქტების კომპენსირება პრაქტიკაში მოხდება ESCO-ს მიერ შექმნილი სპეციალური ფონდიდან - Wholesale Public Service Organization (WPSO), რომელიც უზრუნველყოფს ყველა გადახდას PPA და CFD კონტრაქტების ფარგლებში.

დასკვნა და რეკომენდაციები

ენერგეტიკის სექტორში კვლავ მაღალია საინვესტიციო პროექტების აქტივობა. წარმოდგენილი განახლებული მონაცემებით,

პირდაპირი მოლაპარაკებების ფარგლებში აღრიცხულია 300-მდე პროექტი. პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ადმინისტრაციული განხილვის ეტაპზეა, რაც მათი განხორციელების ვადებთან და სამომავლო ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებულ რისკებს წარმოშობს.

ამ ეტაპზე ენერგეტიკული სექტორიდან მომდინარე ფისკალური რისკები უსაფრთხო ნიშნულზეა. თუმცა საჭიროა:

- ახალი გენერაციის პროექტების ფრთხილად შერჩევა;
- პროექტების კონკურენტული შერჩევის მექანიზმების განვითარება;
- პროექტების განხორციელების პროგრესის მონიტორინგი;
- CFD აუქციონების გაგრძელება მხოლოდ დერეგულირებული ბაზრისა და WPSO ფონდის სრულად ამოქმედებასთან ერთად;
- ახალი PPA მემორანდუმების მორატორიუმის გაგრძელება;
- საინიციატივო შეთავაზებების ჩანაცვლება კონკურენტული აუქციონებით, სადაც CFD უკვე წარმატებული პრაქტიკის საწყისს წარმოადგენს.

PPP ვალდებულებების შეფასება

PPP ვალდებულებები 2025-2027 წლებისთვის

პროექტი	წლის 31 დეკემბრისთვის	მლნ ლარი
თბილისის საერთაშორისო აეროპორტი	2024	38.7
	2025	20.0
	2026	1.2
	2027	0.0

სასამართლო დავებიდან მომდინარე ფისკალური რისკები

სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო დავები ფისკალური რისკების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სპეციალიზებული დეპარტამენტის მეშვეობით, წამყვან როლს ასრულებს საერთაშორისო არბიტრაჟებში საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმდინარე საერთაშორისო საარბიტრაჟო დავების გადაწყვეტაში. ამასთან, ადგილობრივ სასამართლოში იუსტიციის სამინისტრო შეიძლება წარმოადგენდეს ერთ-ერთ მოპასუხე მხარეს სხვა სამინისტროებსა თუ სააგენტოებთან დაკავშირებულ სასამართლო დავებში. თუმცა, მაშინაც კი, როდესაც ერთი დავის ფარგლებში რამდენიმე სახელმწიფო უწყებაა მოპასუხე მხარე, თითოეულ მათგანს აკისრია პასუხისმგებლობა საკუთარი

პოზიციის სამართლებრივ დაცვაზე. საქართველოში სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო დავები, ზომის მიხედვით, ძირითადად, წარმოიქმნება ინფრასტრუქტურისა და ენერგეტიკის სექტორებში და ძირითადად უკავშირდებიან წარუმატებელ და შეწყვეტილ მასშტაბურ პროექტებსა და კონტრაქტებს, ხშირად დავის საგანს წარმოადგენს საჯარო საინვესტიციო პროექტებისთვის, ძირითადად, გზების პროექტებისთვის ექსპროპრირებული მიწები. ასევე, დავები უკავშირდება სხვადასხვა სექტორის კომპანიების უცხოელი ინვესტორების სარჩელს მათი უფლებების არასათანადოდ დაცვის შესახებ, აგრეთვე, აღსანიშნავია უცხოელი თუ ადგილობრივი ინვესტორების დავები, რომლებიც დაკავშირებულია ლიცენზიებსა და ნებართვებზე უარის თქმასთან ან იმ პროექტების გაუქმებასთან, რომლებსაც უკვე ჰქონდათ მოპოვებული ნებართვები და ლიცენზიები.

გარდა მასშტაბური დავებისა, საკმაოდ დიდია იმ სასამართლო დავების რაოდენობა, სადაც შედარებით მცირეა დავის თანხის ოდენობა. ასეთია, ძირითადად, საჯარო უწყებებიდან გათავისუფლებული თანამშრომლების შრომითი დავები.

ფისკალური რისკების შეფასების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იუსტიციის სამინისტროსთან, სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან თანამშრომლობით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე განიხილავს აღნიშნულ სასამართლო დავებს. პირველ რიგში, იმ სასამართლო დავებს, სადაც დავის თანხის ოდენობა აღემატება 5 მილიონ ლარს.

მოსალოდნელია, რომ უმეტეს შემთხვევაში სასამართლო დავა სრულდება სახელმწიფოს გამარჯვებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში, ან სააპელაციო ან საკასაციო დონეზე, ანდა სახელმწიფოს უწევს მოთხოვნილზე მნიშვნელოვნად ნაკლები თანხის გადახდა. რიგ შემთხვევაში მოთხოვნილი თანხები, ან სასარჩელო მოთხოვნის გარკვეული ნაწილი, როგორც უმნიშვნელო და დაუსაბუთებელი, განუხილველი რჩება სასამართლოების მიერ.

მომავალში შესაძლოა სტატისტიკურად გაანალიზდეს აღნიშნული შემთხვევები, რასაც დასჭირდება სოლიდური მონაცემთა ბაზის შექმნა დავების შესახებ საკმარის ინფორმაციასთან ერთად. როგორც საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, ამ მიზნის მიღწევა უფრო მარტივია თანხობრივად დიდი ოდენობის მცირე რაოდენობის საქმეების ანალიზის დაწყებით. მასშტაბურ საქმეებთან დაკავშირებული საერთო მახასიათებლების და ტენდენციების პროგნოზირება რთულია, ზოგჯერ ასეთი დავები წყდება სასამართლოს გარეშე მორიგების გზით.

საერთაშორისო საარბიტრაჟო დავების გამოკლებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოახდინა მსხვილი სასამართლო დავების იდენტიფიცირება (სადაც სადავო თანხა აღემატება 5 მლნ ლარს), სადაც პირობითი ვალდებულებების შეფასებამ შეადგინა 1143 მილიონი ლარი.

რაც შეეხება იმ დავების რაოდენობას, რომელთა სადავო თანხა მერყეობს 1-5 მლნ ლარს შორის, ჯამური პირობითი ვალდებულება შეადგენს დაახლოებით 118 მლნ ლარს. 0.5-1 მლნ ლარის ფარგლებში დავების ჯამურმა სავარაუდო პირობითმა ვალდებულებამ შეადგინა 27 მლნ ლარი. ეს დავები უმეტეს შემთხვევაში დაკავშირებულია სადავო ექსპროპრიაციასთან, სამედიცინო და ფარმაცევტულ ინდუსტრიაში სადავო მარეგულირებელ ქმედებებთან და შესყიდვის ხელშეკრულებების აღსრულებასთან.

რაც შეეხება საერთაშორისო არბიტრაჟს, საყურადღებოა, რომ დავების ფარგლებში, განსაკუთრებით იმ დავების, რომლებიც მასშტაბურია დავის თანხის თვალსაზრისით და უკავშირდებიან მსხვილ პროექტებს, გათვალისწინებულია კონფიდენციალურობის ვალდებულებები მხარეებისთვის სპეციალიზებული სასამართლოების მიერ, როგორებიცაა - საინვესტიციო დავების განმხილველი საერთაშორისო ცენტრი (ICSID), საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო (ICC), ან ჰააგის მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო. ამასთან, ძალიან ხშირად შეთანხმება მიიღწევა ისეთ თანხაზე, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია თავდაპირველ მოთხოვნასთან შედარებით. ასევე, სახელმწიფომ შესაძლოა მოამზადოს შემხვედრი სარჩელი და მოიპოვოს გამარჯვება შესაბამისი კომპენსაციით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად საერთაშორისო არბიტრაჟებში 8 მიმდინარე დავის ფარგლებში სადავო თანხის პოტენციური მაქსიმალური ოდენობა შეადგენს დაახლოებით 4,8 მლრდ აშშ დოლარს. რაც შეეხება საერთაშორისო არბიტრაჟებში საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული დასრულებული დავების სტატისტიკას (7 დავა), 4 დავა დასრულდა სახელმწიფოს გამარჯვებით, 3 დავაზე სახელმწიფოს დაეკისრა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

გასულ წლებში წაგებული გადახდილი ფაქტობრივი თანხის ოდენობა იყო არაარსებითი, მეორე მხრივ, ეს სტატისტიკა არ წარმოადგენს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ შემდგომ წლებში ამ მიმართულებით ხარჯები ასეთივე არარსებითი იქნება.

სტიქიური მოვლენებისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ფისკალური რისკები

სტიქიური მოვლენებისა და კლიმატის ცვლილებისგან გამოწვეულმა ფისკალურმა რისკებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ისეთ მაკრო და ფისკალურ პარამეტრებზე, როგორებიცაა ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები, დეფიციტის დაფინანსება. მათ გავლენა შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფო საწარმოებზე, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებიდან (PPP) მომდინარე ვალდებულებებზე (განსაკუთრებით ენერგეტიკის სექტორში) და ა.შ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ამ რისკების შეფასება და გასაჯაროება სახელმწიფოს სხვა პირობით ვალდებულებებთან ერთობლიობაში.

კლიმატის ცვლილებისგან გამოწვეულ ფისკალურ რისკებს განსხვავებული ბუნება გააჩნია. კლიმატის ცვლილება ხდება თანდათან და შესაბამისად, შედეგებიც არ დგება მყისიერად. თუმცა, მნიშვნელოვანია ასევე გავითვალისწინოთ მათი მოსალოდნელი შედეგები, რომლებმაც მაგალითად შეიძლება იყოს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სტიქიური მოვლენების გახშირება და გაძლიერება.

სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ფისკალური რისკები საქართველოში

საქართველო მნიშვნელოვნად დაზარალდა წყალდიდობებითა და მიწისძვრებით. 2015 წელს თბილისში მომხდარმა წყალდიდობამ სხვადასხვა ფორმით ათასობით მოქალაქეზე იქონია გავლენა. გარდა ამისა, წყალდიდობას 55 მილიონი ლარის ღირებულების ფიზიკური ზიანი და

10 მილიონი ლარის ფინანსური ზარალი მოჰყვა, რაც უახლეს ისტორიაში ყველაზე დიდი მაჩვენებელია. ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ყველაზე დიდი მიწისძვრა მოხდა თბილისში 2002 წელს, რომლის ზარალი 703 მილიონ ლარამდეა შეფასებული.

წყალდიდობებისა და მიწისძვრების რისკების პერსპექტიული შეფასებები გვიჩვენებს, რომ მომავალში ამ ტიპის მოვლენებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს. მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებისა და გლობალური მიწისძვრების მოდელის მეშვეობით შემუშავებული სცენარები გვიჩვენებს, რომ მოსალოდნელი ზიანი შეიძლება მნიშვნელოვნად აღემატებოდეს ისტორიულ, ფაქტობრივ მაჩვენებლებს.

საქართველოს მთავრობის პირობითი ვალდებულებები მოიცავს კლიმატის ცვლილებისა და სტიქიური მოვლენებით გამოწვეული შედეგების აღმოფხვრისა და სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსების შესაძლოა საჭიროებებს. განსაკუთრებით ხაზგასასმელია მყისიერი რეაგირება, კრიტიკული საჯარო სერვისებისა და სასიცოცხლო ინფრასტრუქტურის აღდგენა, ასევე დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრისით უზრუნველყოფა/აღდგენა.

როგორც აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ წარსულში მსგავსი ხარჯები მშპ-სთან მიმართებაში მხოლოდ უმნიშვნელოდ იყო წარმოდგენილი, კლიმატის ცვლილების შედეგების გათვალისწინებით, მოსალოდნელია სტიქიური მოვლენების ფისკალური რისკების მნიშვნელოვანი ზრდა.

ამჟამად სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებები ძირითადად ფინანსდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტებიდან და სამინისტროებისთვის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებებით. სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არსებული წყაროები, ხშირ შემთხვევებში, არ არის საკმარისი მნიშვნელოვანი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად.

საქართველოს მთავრობამ, სოფლის მეურნეობაში კერძო სექტორის განვითარების წახალისების მიზნით, შემოიღო სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის პროგრამა, რომლის მიხედვითაც მთავრობა ახდენს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების და მოსავლის დაზღვევის თანადაფინანსებას ისეთი სტიქიური მოვლენების რისკის წინააღმდეგ, როგორიცაა სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, ყინვები.

მთლიანობაში, სტიქიური მოვლენების რისკების დაზღვევის სრულყოფილი მექანიზმების და სისტემური მიდგომების დანერგვის მიზნით, განიხილება სტიქიური მოვლენების რისკების დაფინანსების მექანიზმების შემუშავება, განისაზღვრება ის ღონისძიებები, რომელთა გატარება არის აუცილებელი სტიქიური მოვლენებით გამოწვეული რისკების მდგრადი ფინანსური მართვისთვის, როგორიცაა ex-ante და ex-post ინსტრუმენტების შემოღება-გაძლიერება, მათ შორის დაზღვევის ინსტრუმენტის უფრო ინტესიური გამოყენებით.

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ფისკალური რისკები საქართველოში

კლიმატის ცვლილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მსოფლიოს, ან საქართველოს ერთ ან რამდენიმე პარტნიორი ქვეყნის მშპ-ს ზრდაზე. საქართველოს ძირითად პარტნიორ ქვეყნებში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მნიშვნელოვანმა სტიქიურმა მოვლენებმა შეიძლება საქართველოზე იქონიოს პირდაპირი ეკონომიკური გავლენა. გავლენა შეიძლება გამოიხატოს საქონლისა

და მომსახურების ექსპორტის შემცირებაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ფულადი ტრანსფერების შემცირებაში და სხვ. ზემოაღნიშნულმა, თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოში მიწოდების ჯაჭვების დარღვევა, სავალუტო კურსის მერყეობა, მშპ-ს ზრდის ტემპის შენელება და სხვა შედეგები. აღნიშნულის უახლეს მაგალითს წარმოადგენს თურქეთში, 2023 წლის თებერვალში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრა, რამაც გარკვეულწილად ირიბი ეკონომიკური გავლენა მოახდინა საქართველოზეც, საქართველოში იმპორტის შეფერხებისა და საიმპორტო ფასების მატების კუთხით.

საქართველოში კლიმატის ცვლილების შედეგები ძირითადად ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებით გამოიხატება, როგორიცაა: წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი, ქარიშხალი, გვალვა და ხანძრები.

აღსანიშნავია, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს კვლევების მიხედვით ბოლო პერიოდში ქვეყნის მასშტაბით ინტენსიურად მიმდინარეობს თოვლის დნობის პროცესი, რომელმაც, თავის მხრივ, გამოიწვია ბუნებრივად ისედაც დაძაბულ ტერიტორიებზე სხვადასხვა მასშტაბის სტიქიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, წყალდიდობა, წყალმოვარდნა, თოვლის ზვავი) ჩასახვა-გააქტიურება. გარემოს ეროვნული სააგენტოს საბოლოო დასკვნის მიხედვით, 2023 წლის 3 აგვისტოს შოვის ღვარცოფი გამოწვეულია მდინარე ბუბისწყლის ხეობაში განვითარებული სტიქიური პროცესებით, რაც განაპირობა ჰიდრომეტეროლოგიური და გეოლოგიური პროცესების თანხვედრამ, რომლებიც გამოწვეულია კლიმატის ცვლილებით. სააგენტოს ცნობით, სტიქიამ გამოიწვია 26 ჰა ფართობზე არსებული საცხოვრებელი სახლების, ინფრასტრუქტურის განადგურება და ადამიანთა მსხვერპლი გამოიწვია.

კლიმატის ცვლილებით გამოწვეულმა

ინფორმაცია 2025 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი და გადარიცხული თანხების შესახებ (მლნ ლარი)	
გურია	63
იმერეთი	46
კახეთი	22
სამეგრელო-ზემო სვანეთი	20
ქვემო ქართლი	12
რაჭა-ლეჩხუმი	5
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	5
სამცხე-ჯავახეთი	3
შიდა ქართლი	2
მცხეთა-მთიანეთი	2
სულ	**180**

გახშირებულმა და ძლიერმა სტიქიურმა მოვლენებმა შეიძლება არა მხოლოდ დიდი ფისკალური გავლენა იქონიოს გაზრდილი სამთავრობო ხარჯების სახით, არამედ შესაძლოა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენოს კერძო სექტორსაც. ასე მაგალითად, 2020 წელს ჰიდროელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის შემცირებული გამომუშავება წყლის რესურსების ნაკლებობით იყო გამოწვეული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია PPP/PPA პროექტებში სამომავლოდ ამ სახის რისკების სათანადო შეფასება.

სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება

2025 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ მთლიანობაში გამოიყო 179.5 მლნ ლარი, რაც 2024 წლის მონაცემთან (150 მლნ ლარი) შედარებით 29 მილიონი ლარით მეტია. დაფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდიოდა, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტებზე, რომლებიც ძირითადად ძლიერი წვიმის, დიდთოვლობისა და მეწყერის შედეგად დაზარალდნენ. მხოლოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სტიქიური

მოვლენებით, მათ შორის, ყველაზე და დიდთოვლობის შედეგად გამოწვეული გავრცელებული - უხვი ნალექისა ზარალი 29.6 მილიონ ლარს შეადგენს.

ფისკალური რისკების გრძელვადიანი ანალიზი

მიმდინარე ფისკალური პოლიტიკის სამომავლო შედეგებისა და ხარჯების რაოდენობრივი განსაზღვრა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ეფექტიანად იყოს მართული და თავიდან იქნას აცილებული გრძელვადიანი პერიოდის რისკები და ამ რისკებიდან მომდინარე საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც მნიშვნელოვანი ფისკალური არასტაბილურობის წყარო შეიძლება გახდეს. აღნიშნული საკითხი საქართველოს კონტექსტში ყურადსაღებია ოთხი ძირითადი მიმართულებით:

1. **სახელმწიფო ვალი და ფისკალური დეფიციტი**. სახელმწიფო ვალის დინამიკის სამომავლო ტრაექტორიის განსაზღვრა, სავარაუდოდ, დაგვეხმარება არამდგრადი ფისკალური პოლიტიკების იდენტიფიცირებასა და იმის დადგენაში, არის თუ არა ფისკალური ჩარჩოთი განსაზღვრული ფისკალური წესების დარღვევის საფრთხე.

2. **დემოგრაფია და სოციალური პოლიტიკა**. საქართველოში ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად მიმდინარეობს ე.წ. მოსახლეობის დაბერების (aging) პროცესი, როდესაც მთლიან პოპულაციაში ასაკოვანი მოსახლეობის წილი თანდათანობით იმატებს, რაც მომდევნო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში შექმნის მნიშვნელოვან ზეწოლას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ამ მხრივ კი განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯანდაცვის მიმართულებითა და პენსიებზე გაწეული ხარჯები.


3. **კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფისკალური რისკები.** კლიმატის ცვლილება იწვევს ამინდისა და ეკოსისტემების შეცვლას, რასაც, თავის მხრივ, გავლენა აქვს ფისკალურ პარამეტრებზეც და ამან შესაძლებელია გამოიწვიოს მნიშვნელოვანი გადახრა საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზებიდან. ეს შეიძლება გულისხმობდეს, როგორც ნელ-ნელა პროგრესირებად რისკებს, როგორებიცაა მზარდი საშუალო ტემპერატურის სტაბილური მატების ეფექტები, რაც ამცირებს პროდუქტიულობასა და, აქედან გამომდინარე, ბიუჯეტის შემოსავალს, ასევე - მოულოდნელი სტიქიური მოვლენებიდან წარმოშობილ რისკებს, რომლებსაც აქვთ დაუყოვნებლივი ეფექტი ბიუჯეტის პარამეტრებზე და ზრდის გაურკვევლობასთან დაკავშირებულ რისკებს. გარდა ამისა, კლიმატის ცვლილებიდან მომდინარე საფრთხე შეიძლება მოიცავდეს ორივე ტიპის რისკის კომბინაციასაც. აღსანიშნავია, რომ შესაძლოა არსებითი აღმოჩნდეს კლიმატის ცვლილების შემსუბუქებასა და ადაპტაციასთან დაკავშირებული ბიუჯეტიდან გამოყოფილი ხარჯებიც, რომლებიც სახელმწიფო დონეზე განსაზღვრული პოლიტიკის ფარგლებში შეიძლება განიხილებოდეს. მართალია, მოკლევადიან პერიოდში ეს ხარჯები სავარაუდოა, რომ

მნიშვნელოვან ტვირთად დააწვეს სახელმწიფო ფინანსებს, თუმცა მათ შესაძლოა შეამსუბუქონ კლიმატის ცვლილების გრძელვადიანი ეფექტები.

4. **ეკონომიკური ზრდა და ბიუჯეტის შემოსავალი.** სხვა ფაქტორებთან ერთად საქართველოს საგადასახადო ბაზის შემცირება შესაძლოა მოხდეს როგორც მოსახლეობის დაბერების, ისე - კლიმატის ცვლილების შედეგად ეკონომიკაში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებების გამო. და პირიქით, საგადასახადო რეფორმას, ისევე როგორც სტრუქტურულ რეფორმებს, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკურ ზრდას - მაგალითად, საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება — შესაძლოა, ჰქონდეთ ფისკალური სარგებელი, რაც შედარებით მცირეა მოკლევადიან პერსპექტივაში, მაგრამ კრიტიკულად მნიშვნელოვანია მდგრადობის თვალსაზრისით გრძელვადიან პერიოდთან მიმართებაში.

ფინანსთა სამინისტროს მიერ სხვადასხვა დაშვებების (იხილეთ დანართი 1) საფუძველზე გაკეთებული გრძელვადიანი შეფასების მიხედვით [3], სხვა თანაბარ პირობებში, საქართველოს ფისკალური ინდიკატორები უარესდება მიმდინარე საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო ვალის მონაცემი 2075 წლისათვის ყველა სცენარის (გარდა მაღალი შობადობის სცენარისა) ფარგლებში არღვევს ვალის მშპ-სთან ფარდობის ფისკალური წესის 60 პროცენტიან ზღვარს (გრაფიკი 1).

გრაფიკი 1. გრძელვადიანი ფისკალური ინდიკატორები



[3] შეფასების ჰორიზონტია 50 წელი და მოიცავს 2026-2075 წლებს

წყარო: ფინანსთა სამინისტრო. საბაზისო სცენარი განიხილავს გაეროს საშუალო შობადობის მოსახლეობის პროგნოზს და ცხადად არ ითვალისწინებს კლიმატის ცვლილებას. ორ სხვა დემოგრაფიულ სცენარში გამოყენებულია გაეროს მოსახლეობის პროგნოზები დაბალი და მაღალი შობადობის სცენარებისათვის. კლიმატის ცვლილების თითოეული სცენარი დეტალურად არის განმარტებული ქვემოთ, ამავე თავში (იხილეთ ჩარჩო 1).

ფისკალური რისკების სცენარების ეს ნაწილი შეეხება ორ გრძელვადიან ფისკალურ რისკს, რომელთა შემსუბუქების მიზნითაც საქართველო ახორციელებს გარკვეული ტიპის ღონისძიებებს:

1. **დემოგრაფიულ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები,** რომლებიც სხვადასხვა დემოგრაფიული სცენარის მიხედვით პირდაპირ იწვევს შემდეგ ფისკალურ რისკებს:

   a. ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული ხარჯები

   b. საპენსიო ხარჯები (ძირითადად ასაკთან დაკავშირებული პენსია)

გარდა ამისა, აღნიშნული ასევე გავლენას ახდენს მშპ-ს ზრდის ტემპზეც, რომელიც, ანალიზის მიხედვით, იზრდება შრომის მწარმოებლურობისა და დასაქმებულთა ზრდის მიხედვით. ჩვენს შემთხვევაში, დასაქმებულთა მაჩვენებლის ჩამნაცვლებლად (პროქსი) გამოყენებულია სამუშაო ასაკის მოსახლეობა. აქედან გამომდინარე, დაბალი შობადობის სცენარის მიხედვით გვაქვს შედარებით დაბალი ეკონომიკური ზრდის ტემპიც.

2. **კლიმატის ცვლილების ფისკალური რისკების** შეფასება ხდება სხვადასხვა კლიმატის სცენარის მიხედვით. აღნიშნული ამცირებს ეკონომიკური ზრდის პოტენციალს, რაც არაპირდაპირ იწვევს შემდეგ ფისკალურ რისკებს:

   a. შემოსავლების შემცირება

   b. დეფიციტის მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებლის ზრდა

   c. ვალის მშპ-სთან ფარდობის ზრდა

შესაბამისად, იზრდება ფისკალური დეფიციტისა და ვალის მოცულობაც. ორივე რისკი საბოლოოდ მოქმედებს ფისკალურ პარამეტრებზე, როგორებიცაა შემოსავლები და ხარჯები.

დემოგრაფიულ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები


დემოგრაფიული ცვლილებები

საქართველოში უკვე სახეზეა მოსახლეობის მკვეთრი დაბერების მზარდი ტენდენცია (გრაფიკი 2). **ამჟამად, ოთხ სამუშაო ასაკის პირზე ერთი ასაკოვანი პირი მოდის. 2075 წლისათვის უკვე შესაძლოა ორ ან სამ სამუშაო ასაკის პირზე ერთი პენსიონერი მოდიოდეს.**


როგორც მე-2 გრაფიკზე ჩანს, გაეროს პროგნოზებზე დაყრდნობით, საშუალო შობადობის სცენარის მიხედვით, ასაკოვანთა რაოდენობა მუდმივად იზრდება, მაშინ როდესაც, სამუშაო ასაკის მოსახლეობა სტაბილურია და 2040-იანი წლიდან კლების ტენდენცია შეინიშნება. თუ 2025 წელს 1 ასაკოვან პირზე (65+) დაახლოებით 4 სამუშაო ასაკის პირი მოდის, უკვე 2075 წლისათვის ეს მაჩვენებელი 2.4-მდე მცირდება.

გრაფიკი 2. დემოგრაფიული სცენარები საქართველოში, 1950-2100

მოსახლეობის წილი (პროცენტი), საშუალო შობადობის სცენარი



არასამუშაო ასაკის პირების დამოკიდებულების კოეფიციენტი სხვადასხვა შობადობის მიხედვით



წყარო: გაეროს მოსახლეობის პროგნოზები, 2024; ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშებები. დამოკიდებულების კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგნაირად: ასაკოვანი პირების (65 წლის და ზევით) და 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ჯამური რაოდენობა გაყოფილი სამუშაო ასაკის (15-64 წლის) მოსახლეობის რაოდენობაზე.


არსებული დემოგრაფიული პროგნოზის მიხედვით, თუ 2025 წლისათვის დამოკიდებულების კოეფიციენტია 57% (ანუ 1 სამუშაო ასაკის პირზე მოდის 0.57 პენსიონერი და 15 წლამდე ასაკის ადამიანი ერთად), უკვე 2075 წლისათვის ეს მაჩვენებელი 65%-მდე იზრდება.

ჯანდაცვასთან დაკავშირებული ხარჯები

სავარაუდოა, რომ ასაკოვანი მოსახლეობა უკვე ქმნის ფისკალურ ზეწოლას. როგორც წესი, უფროსი ასაკის მოსახლეობას, ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობასთან შედარებით, აქვს ქრონიკული დაავადებების უფრო მაღალი ტვირთი, როგორიცაა მაგალითად, ართრიტი, ხერხემლის ტკივილი, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი და მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები და ისინი არიან 2013 წელს დანერგილი პირველადი უნივერსალური ჯანდაცვის სისტემის მთავარი მომხმარებლები, რომელშიც შედის უფასო ამბულატორიული მომსახურება და დიაგნოსტიკური კვლევები.

დემოგრაფიული ცვლილება გაზრდის ჯანდაცვის ხარჯებს. იმ დაშვებით, რომ ერთ სულ მოსახლეზე ჯანდაცვის რეალური ხარჯები იზრდება მხოლოდ შრომის პროდუქტიულობის ზრდით, მხოლოდ დემოგრაფიული ცვლილება ჯანდაცვის ხარჯებს მომდევნო 50 წლის განმავლობაში სხვადასხვა სცენარის მიხედვით საშუალოდ ზრდის მშპ-ს 0.2-დან 0.6 პროცენტულ პუნქტამდე ფარგლებში (გრაფიკი 3). მიუხედავად იმისა, რომ ზრდა ყველაზე მაღალია დაბალი შობადობის სცენარში, ჯანდაცვის ხარჯები შობადობის სამივე სცენარში იზრდება (საშუალო, მაღალი და დაბალი).

გრაფიკი 3. დემოგრაფიის ეფექტები ჯანდაცვის ხარჯებზე, 2015-2075



წყარო: გაეროს მოსახლეობის პროგნოზები, 2024; ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშებები.

საპენსიო ხარჯები


მოსახლეობის დაბერების გამო, გრძელვადიან პერსპექტივაში, საპენსიო ხარჯებიც გაიზრდება (გრაფიკი 4). საპენსიო ასაკის მოსახლეობის ზრდის მიუხედავად, გრძელვადიანი პროგნოზების დაშვებების მიხედვით, ***მიმდინარე ინდექსაციის რეჟიმის***[4] შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ:

- საპენსიო ხარჯების მშპ-სთან ფარდობითი მაჩვენებელი არათუ არ გაიზრდება, არამედ შემცირდება მომდევნო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.

[4] არსებული ინდექსაციის რეჟიმის მიხედვით, 70 წლამდე ასაკის მოსახლეობას ყოველწლიურად პენსია გაეზრდება ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაციის მიხედვით (მინიმუმ 20 ლარით), ხოლო 70 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობას კი პენსია ეზრდება ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაციის ოდენობისა და ბოლო 6 კვარტლის ეკონომიკური ზრდის 80%-ის მიხედვით (მინიმუმ 25 ლარით)

- შემცირდება ე.წ. ჩანაცვლების ნორმა[5], როგორც დაბალი ასაკის (70 წლამდე), ისე მაღალი ასაკის (70 წელს ზემოთ) პენსიონერთათვის.
-

გრაფიკი 4: დემოგრაფიის გავლენა საპენსიო დანახარჯებზე, 2019-2075



წყარო: გაეროს მოსახლეობის პროგნოზები, 2024; ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშებები.

მე-4 გრაფიკზე მარჯვენა ნაწილში ნაჩვენებია კლიმატის საბაზისო სცენარი (შობადობის სხვადასხვა სცენარის პირობებში. როგორც ჩანს, სამივე სცენარის შემთხვევაში საპენსიო ხარჯების მშპ-სთან ფარდობა არსებული პირობებით 2040-50-იან წლებამდე მუდმივად მცირდება, შემდეგ კი, უკვე როგორც პენსიის ზრდის, ისე - დემოგრაფიის ცვლილების ეფექტის გამო, ზრდა შეინიშნება. დაბალი შობადობის სცენარის მიხედვით, საპენსიო ხარჯები 2075 წლისთვის მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდება, თუმცა ამ ფაქტის მიუხედავად, იგი მაინც არ აღემატება 2025 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს.


გრძელვადიანი ფისკალური ეფექტები

გრძელვადიან პერიოდში, მხოლოდ მოსახლეობის დაბერების გამო გამოწვეული ბიუჯეტის ხარჯებზე ზეწოლა და შენელებული ეკონომიკური ზრდა დამატებით წნეხს ქმნის საქართველოს გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობის შენარჩუნებისთვის. <u>აღნიშნული ანალიზი მიმოიხილავს მხოლოდ დემოგრაფიული ცვლილების ეფექტებს და არ ითვალისწინებს ამ პერიოდში მაკროეკონომიკური თუ ფისკალური პოლიტიკის შესაძლო ცვლილებებს, რომლებსაც რეალურად მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფისკალური პარამეტრების ტრაექტორიაზე.</u>

[5] ხელფასების საშუალო ზრდასთან და დემოგრაფიასთან დაკავშირებით არსებულ გამარტივებულ დაშვებებზე დაყრდნობით

როგორც გრაფიკი 5-დან ჩანს, საშუალოვადიან პერიოდში, საუკუნის შუა პერიოდამდე დემოგრაფიული ცვლილებების უარყოფითი ეფექტი მნიშვნელოვანი არ არის, თუმცა მომდევნო წლებიდან ფისკალური ტვირთი გამუდმებით იზრდება და დაბალი შობადობის სცენარის მიხედვით მან შესაძლოა ვალის წესის დარღვევაზე მოახდინოს ზეწოლა. გაზრდილი საბიუჯეტო ხარჯები უფრო დიდ დეფიციტსა და ვალს განაპირობებს. გარდა ამისა, დაბალი შობადობის სცენარი, დანარჩენ ორ სცენართან შედარებით, გულისხმობს მშპ-ს კიდევ უფრო დაბალ დონეს გრძელვადიან პერსპექტივაში, რაც ამცირებს საგადასახადო შემოსავლებს, ზრდის დეფიციტსა და ვალის მშპ-სთან თანაფარდობას.

გრაფიკი 5: დემოგრაფიის გავლენა საჯარო ფინანსებზე, 2015-2075



წყარო: გაეროს მოსახლეობის პროგნოზები, 2024; ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშებები. საბაზისო სცენარი არის ზომიერი შობადობის სცენარი.

როგორც მე-5 გრაფიიდან ჩანს, 2075 წელს სახელმწიფო ვალის მშპ-სთან კოეფიციენტი 7.5 პროცენტული პუნქტით მეტია დაბალი შობადობის სცენარში, საშუალო შობადობის (საბაზისო) სცენართან შედარებით. ამასთან, დაბალი შობადობის სცენარში, სახელმწიფო ვალი აჭარბებს მშპ-ს 60 პროცენტიან ფისკალური წესის ზღვარს 2071 წლისთვის, ხოლო საშუალო და მაღალი შობადობის სცენარების დროს, შესაბამისად 2072 და 2083 წლამდე ვალის წესი არ ირღვევა.

მოსახლეობის დაბერებას შესაძლოა დამატებითი ეფექტები ჰქონდეს გრძელვადიან ფისკალურ მდგრადობაზე. მაგალითად, გადასახადების ამოღება შესაძლოა განსხვავდებოდეს მომუშავეთა ასაკის მიხედვით და შედარებით ასაკოვანმა მომუშავეებმა შესაძლოა ნაკლები გადასახადი გადაიხადონ ინდივიდუალურად. თუმცა, მიმდინარე ანალიზი ყველა დემოგრაფიული თუ კლიმატის სცენარის შემთხვევაში ინარჩუნებს შემოსავლების მშპ-სთან ფარდობის მუდმივ მაჩვენებელს და ამით პასუხობს

შემოსავლების დონის შესაძლო შემცირებას მშპ-ს ცვლილების დროს. თუმცა, აღნიშნული საკითხი საჭიროებს კიდევ უფრო ღრმა ანალიზს და შესაძლოა, დემოგრაფიულ ცვლილებებს გავლენა ჰქონდეს შემოსავლების როგორც აბსოლუტურ, ისე - ფარდობით მაჩვენებელზე.

დოკუმენტის შემდეგ ვერსიებში დაგეგმილია დემოგრაფიისა და კლიმატის ცვლილებების შემოსავლების დონეზე გავლენის კიდევ უფრო სრულყოფილად შესწავლა და მთლიან მოდელში მისი ინტეგრირება.

კლიმატის ცვლილებასთან ასოცირებული რისკები

კლიმატის ცვლილების ეფექტები

საქართველოში საშუალო ტემპერატურა იზრდება მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან და მისი ზრდა ნავარაუდევია გლობალურ საშუალო მონაცემზე მეტად ოცდამეერთე საუკუნის დასასრულისათვის. [6] ზემოხსენებულის შედეგად, კლიმატის ცვლილების ყველაზე არასასურველ ეფექტებად მოიაზრება გვალვა, წყალდიდობა და მეწყერი. კლიმატის ცვლილების რისკები გავლენას მოახდენს საქართველოს მთლიან ეკონომიკაზე, მოწყვლადი საკითხები ძირითადად ენერგეტიკის სფეროში იქნება ფოკუსირებული, რადგან ადგილობრივად წარმოებულ ენერგია ძირითადად დამოკიდებულია ჰიდროელექტროენერგიაზე. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს ადგილობრივად წარმოებული ელექტრონერგიის 78% მოდიოდა ჰიდროელექტროენერგიაზე მაშინ, როცა აღნიშნული მაჩვენებელი 2024 წელს დაახლოებით 80% იყო.

კლიმატის ცვლილების სცენარები და გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობა

საქართველოში ფისკალური რისკების შესაფასებლად კლიმატის ოთხი სხვადასხვა სცენარი გამოიყენება (ჩარჩო 1). **ეს სცენარები ეფუძნება მთავრობათაშორის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილულ კლიმატის ცვლილების შეფასების უახლეს ანგარიშს** (IPCC 2021). ემისიების თითოეული სცენარი დამყარებულია ხუთი სტანდარტიზებული სოციო-ეკონომიკური, ტექნოლოგიური და პოლიტიკის განვითარების სიუჟეტიდან (სახელად სოციო-ეკონომიკური გზა, Socio-Economic Pathway) ერთ-ერთზე:

ჩანართი 1: კლიმატის სცენარები

- **პარიზი**: SSP1-2.6 IPCC სცენარის საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც 2015 წლის პარიზის სამიტზე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები სრულდება, გლობალური ტემპერატურის მატება საუკუნის ბოლოს ნარჩუნდება წინა-სამრეწველო დონეზე (2° (გრადუს) ცელსიუსზე დაბალი) მაღლა.

- **ზომიერი**: SSP2-4.5 IPCC სცენარის საფუძველზე, ემისია კვლავ იზრდება არსებული ტენდენციების შენარჩუნების ფონზე და სტაბილიზირდება საუკუნის დასასრულს. ამ სცენარის მიხედვით, კლიმატის შემსუბუქების პოლიტიკები კვლავ მოქმედებს არსებული ტენდენციის პარალელურად, მაგრამ ქვეყნები არ ახორციელებენ უფრო აგრესიულ ქმედებებს პარიზის სამიტზე ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

[6] კლიმატის რისკის ქვეყნის პროფილი (2021). მსოფლიო ბანკის ჯგუფი, აზიის განვითარების ბანკი.


- **მაღალი**: SSP3-7.0 IPCC სცენარის საფუძველზე კლიმატის შემსუბუქების ღონისძიებების გაძლიერების ნაცვლად, ქვეყნები იწყებენ მათ მიერ განხორციელებული პოლიტიკების მასშტაბების შემცირებას შეზღუდული ენერგოეფექტიანობის გაზრდის და წიაღისეული საწვავის სტაბილური გამოყენების ფონზე.

- **ცხელი (მწვავე)**: ამ სცენარში ემისია მაღალი სცენარის მსგავსადაა წარმოდგენილი, თუმცა ამ შემთხვევაში ყველა იმ კლიმატის მოდელს შორის, რომელშიც SSP3-7.0 ემისიაა გამოყენებული, ტემპერატურის 90-ე პერცენტილი გამოიყენება, ნაცვლად მაღალი სცენარისთვის გამოყენებული საშუალო ტემპერატურის პროგნოზისა.


- **არაადაპტირებული ცხელი:** ემისია და ტემპერატურის ცვლილება მწვავე სცენარის მსგავსია, მაგრამ სცენარი უშვებს, რომ ქვეყნები ადაპტირდებიან ცვალებად კლიმატთან მომავალი 50 წლის განმავლობაში, ნაცვლად 30 წლისა.

გრაფიკი 6. საქართველოში კლიმატის ცვლილების სცენარების ფისკალური ეფექტები

მთლიანი ბალანსი (მშპ-ს პროცენტი), 2015-2075



ვალი მშპ-სთან კოეფიციენტი (%), 2015-2075



წყარო: ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშებები.

საჯარო ფინანსები გაუარესდება კლიმატის ცვლილების სცენარების სიმძიმის ზრდის პარალელურად (გრაფიკი 6). გრძელვადიან პერსპექტივაში კლიმატის ცვლილება შეანელებს პროდუქტიულობის ზრდას უფრო მკაცრ სცენარებში, შეამცირებს საგადასახადო შემოსავლებს და გაზრდის დეფიციტსა და ვალს. 2075 წლისათვის კლიმატის მაღალ, მწვავე და არაადაპტირებული მწვავე სცენარებში სახელმწიფო ვალი მშპ-ს ფისკალური წესის 60%-იან ზღვრულ ოდენობას აღემატება და შედარებით მკაცრი სცენარების პირობებში საკმაოდ არამდგრად აღმავალ ტრაექტორიას წარმოშობს.

კლიმატის ცვლილებიდან წარმოშობილი სპეციფიკური ფისკალური რისკები

კლიმატის ცვლილება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის ხარჯებსა და შემოსავლებზე მრავალი მიმართულებით, მთავრობის როგორც ცენტრალურ, ისე - ადგილობრივ დონეებზე. კლიმატის რისკებს შესაძლოა ჰქონდეს პირდაპირი ზეგავლენა, მაგალითად, სტიქიური მოვლენა რადიკალურად ცვლის ეკონომიკურ პროდუქტიულობას, რაც იწვევს ბიუჯეტის შემოსავლის შემცირებას. ასეთ რისკებს ასევე შესაძლოა ჰქონდეთ არაპირდაპირი ზეგავლენაც, მაგალითად, სოფლის მეურნეობისათვის გაცემული გარანტიის (შესაძლოა არსებობდეს დაზღვევის ფორმით) რეალიზებას (ცხადი ვალდებულება) ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოს პრობლემები (არაცხადი ვალდებულება), რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალონ ხარჯების სტრუქტურა. ცხრილში 1 მოცემულია კლიმატის ცვლილების ფისკალური რისკების გამო ფისკალური შედეგების პროგნოზირებული მაჩვენებლებიდან გადახრის სხვადასხვა მაგალითები.

ცხრილი 1: კლიმატის ცვლილებიდან წარმოშობილი ფისკალური რისკები

რისკის ტიპი	ფისკალური ზეგავლენის აღწერა
ბიუჯეტთან დაკავშირებული რისკები	უფრო ხშირი და მკაცრი სტიქიური მოვლენები განაპირობებს მეტ სახელმწიფო დანახარჯებს დაზიანებული ინფრასტრუქტურის ჩანაცვლებისა და დაზარალებული ოჯახებისათვის სოციალური ტრანსფერების უზრუნველსაყოფად. ცხადი პირობითი ვალდებულებების მატერიალიზაციაა, მაგალითად, სახელმწიფო გარანტიებით უზრუნველყოფილი სადაზღვევო სქემები.
სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებული რისკები	უარყოფითი ზეგავლენა ძირითადი ჰიდროენერგეტიკული კომპანიების საბალანსო უწყისებზე, უფრო ხარჯიანი ენერგიის ფორმებზე (თერმული) დამოკიდებულების ფონზე. ამან შესაძლოა დააზიანოს აქტივები, გაზარდოს ექსპლუატაციის ხარჯები და მოითხოვოს კაპიტალში შენატანების განხორციელება მთავრობის მხრიდან.
ეკონომიკური რისკები	ზეგავლენა ეკონომიკურ მწარმოებლურობასა და პროდუქტიულობაზე. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის შემცირება, მიწის მწირი რესურსები და პროდუქტიული კაპიტალიდან რესურსების გადატანა ადაპტაციისათვის განსახორციელებელ ინვესტიციაში.
ტრანზიციასთან დაკავშირებული რისკები	ნაცრისფრიდან მწვანე ენერგიაზე გადასვლა, ახალ ტექნოლოგიებთან ადაპტაციის ხარჯები, სამართლებრივი და პასუხისმგებლობის რისკები.

ვალის ზედა ზღვრის ფისკალური წესისადმი ვალდებულება ქვეყანას დაეხმარება გრძელვადიანი ფისკალური რისკების მართვაში. ზემოაღნიშნული ანალიზი აჩვენებს, რომ დემოგრაფიული და კლიმატის ცვლილების ზეწოლა გამოიწვევს ვალის გაზრდას მშპ-ის ფისკალური წესის ზედა ზღვრის, 60 პროცენტზე მეტად. ამან შეიძლება გამოიწვიოს დიდი ფისკალური კორექტირების საჭიროება, ვინაიდან ზედა ზღვარი ირღვევა. ფისკალური პარამეტრების ადრეულმა თანდათანობითმა კორექტირებამ, სანამ ვალი მშპ-ს 60 პროცენტს გადააჭარბებს, შეიძლება შეამციროს შემდგომში უფრო მკვეთრი კორექტირების საჭიროება.

შემოსავლების საშუალოვადიანმა სტრატეგიამ (MTRS) შეიძლება შეამსუბუქოს აღნიშნული პოტენციური გრძელვადიანი ფისკალური რისკები. MTRS რეგულარულად დაიხვეწება და განახლდება. იგი განიხილავს საგადასახადო დანახარჯების გადახედვისა და მოწესრიგების, საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების, საგადასახადო სისტემის მოდერნიზებასა და მსგავს საკითხებს, რომლებიც შემდგომ გაზრდიან ფისკალურ ეფექტიანობას და შეარბილებენ გრძელვადიან პერიოდში წარმოშობილ გამოწვევებს. შემოსავლების საშუალოვადიანი სტრატეგია უნდა შეეხოს კლიმატის ცვლილებით განპირობებული ეკონომიკური სტრუქტურული ცვლილებების შედეგად არსებული საგადასახადო ბაზის პოტენციურ შემცირებას.

მთავრობა აქტიურ ნაბიჯებს დგამს კლიმატთან დაკავშირებული რისკების სამართავად სახელმწიფო ინვესტიციების მართვის ჩარჩოში კლიმატის ცვლილების ინტეგრირების გზით. განხორციელდა კლიმატის სახელმწიფო ინვესტიციების მართვის ეფექტიანობის შეფასება (PIMA) და დაიწყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა ძირითადი რეკომენდაციების შესასრულებლად, მათ შორის:

- უზრუნველყოფა იმისა, რომ კლიმატის ეროვნული სტრატეგიები და ამოცანები სრულად ინტეგრირებული იყოს ეროვნული, დარგობრივი და სივრცითი დაგეგმარების პროცესებში.
- კლიმატთან დაკავშირებული კრიტერიუმების ძირითად საკითხად ჩართვა პროექტის შეფასებისა და პროექტის შერჩევის პროცესებში და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება ხსენებული კრიტერიუმების გამოყენებისათვის.
- კლიმატთან დაკავშირებული პროექტების იდენტიფიცირება და ანგარიშგება, რესურსების განაწილება ბიუჯეტის, აღრიცხვისა და აქტივების მართვის სისტემებში კლიმატის კომპონენტების გამოყოფის გზით.

პროდუქტიულობის ხელშეწყობის რეფორმებმა და კლიმატის ცვლილების შემსუბუქებისა და ადაპტაციის ღონისძიებებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს ფისკალური ზეწოლის შემსუბუქებას. პროდუქტიულობის ხელშემწყობმა რეფორმებმა შეიძლება ხელი შეუწყოს ფისკალური რისკების შემსუბუქებას გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის სტიმულირებით. რაც შეეხება ხარჯების ნაწილს, მომდევნო მნიშვნელოვანი ნაბიჯია კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ღონისძიებებისა და პროდუქტიულობის ხელშემწყობი პოლიტიკების მხარდასაჭერად საჭირო ფისკალური დანაკლისის იდენტიფიცირება და გაზომვა, რაც საბიუჯეტო დაფინანსებას მოითხოვს, მაგალითად, განათლების სფეროში. ეს პოლიტიკები შემდგომ უნდა შეფასდეს დემოგრაფიული და კლიმატის ცვლილების ჭრილში ეკონომიკურ მოქნილობასთან მიმართებით მიღწეული, გრძელვადიანი პროგრესის თვალსაზრისით.

დანართი 1: საბაზისო დაშვებები გრძელვადიანი ფისკალური პროგნოზებისათვის

გრძელვადიანი ფისკალური ანალიზის ნაწილში საბაზისო სცენარისათვის მონაცემები 2030 წლამდე ეფუძნება ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბაზისო სცენარს, 2034 წლამდე - ვალის მდგრადობის ანალიზის საბაზისო დაშვებებს, ხოლო გრძელვადიანი პერიოდისთვის გაკეთდა შემდეგი დაშვებები:

- რეალური მშპ-ს ზრდა 2034 წელს არსებული 5.0 პროცენტიდან თანდათანობით 0.3 პროცენტამდე იკლებს 2075 წლისათვის. ეს განპირობებულია ორი ფაქტორით: გაეროს საშუალო შობადობის სცენარის მოსახლეობის პროგნოზში სამუშაო ასაკის მოსახლეობის წილის შემცირებით; და სამუშაო ძალის პროდუქტიულობის ცვლილებით, რაც 4.8 პროცენტიდან 1.3 პროცენტამდე მცირდება. საქართველოს სამუშაო ძალის პროდუქტიულობა განხილულია OECD-ს საშუალო მონაცემთან მიმართებით. გამოყენებულია ბალტიის ქვეყნების გამოცდილება 90-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული. ბალტიის ქვეყნების პროდუქტიულობის OECD-ს საშუალოსთან ფარდობის 30 წლის წინანდელი მაჩვენებელი დაახლოებით საქართველოს ამჟამინდელ ფარდობას უტოლდება, ამიტომ შეფასების მიხედვით გაკეთებულია დაშვება, რომ საქართველოც გაივლის ბალტიის ქვეყნების მსგავს გზას და პროდუქტიულობაც 30 წლის განმავლობაში დაეწევა OECD-ის იმ დონეს, რაც ამჟამად ბალტიის ქვეყნებისთვის ფიქსირდება. ეს ყოველივე კი მიუთითებს იმას, რომ საქართველო თანდათანობით გადავა განვითარებული ქვეყნების რიგში და შესაბამისად, ეკონომიკის ზრდის ტემპიც შემცირდება.

- ინფლაცია სტაბილურად ნარჩუნდება წლიური 3 პროცენტის დონეზე ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ჩარჩოს შესაბამისად. მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო ვალის რეალური საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან პერიოდში 0.9% იქნება.

- 2035 წლიდან მშპ-ში შემოსავლების წილი სტაბილურად შენარჩუნდება, თუმცა მოსალოდნელია ჯანდაცვის ხარჯის ზრდა მოსახლეობის დაბერების პარალელურად. ანალიზის დაშვებით, ასაკოვან მოსახლეზე გაწეული ჯანდაცვის ხარჯი 3.5-ჯერ აღემატება არაასაკოვან მოსახლეზე გაწეულ ხარჯს, რაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში სტილიზებულ ფაქტს ასახავს. ასევე მოსალოდნელია რეალური არაჯანდაცვის ძირითადი ხარჯის მატება პროდუქტიულობის ზრდასთან ერთად.

დანართი 2: საპენსიო დანახარჯების გამოთვლა

სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტში პენსიის ოდენობა განისაზღვრება, როგორც მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული პენსია, რაც გარკვეული რაოდენობით არის გაზრდილი. აღნიშნულის დასათვლელად კი გამოყენებულია საპენსიო ინდექსაცია.

საპენსიო სისტემის ინდექსაციისთვის გათვალისწინებულია მშპ-ს რეალური ზრდა და ინფლაცია, სადაც ასევე განსაზღვრულია პენსიის მინიმალური ზრდის ოდენობა, ლარებში. ინდექსირებისთვის გამოყენებულია პენსიონერთა 2 კატეგორია: 70 წლამდე ე.წ. „დაბალი ასაკის“ და 70 წელზე უფროსი ე.წ. „მაღალი ასაკის“ მქონე პენსიონერები. აღნიშნული კატეგორიებისთვის შემუშავებულია ინდექსაციის განსხვავებული პოლიტიკა.

ინდექსაციის პოლიტიკა	**დაბალი ასაკი**	**მაღალი ასაკი**
ასაკი	<70 წელი	>70 წელი
ინფლაცია (12 თვის საშუალო)	100%	100%
რეალური მშპ-ს ზრდა*	0	80%
მინიმალური ოდენობა (GEL)	20	25

*განსაზღვრულია, როგორც მშპ-ს ბოლო 6 კვარტლის საშუალო ზრდა

საპენსიო დანახარჯების გამოსათვლელად, გამოითვლება ყოველთვიური საპენსიო ინდექსაცია ორივე კატეგორიის პენსიონერებისთვის. დაბალი ასაკის მქონე პენსიონერებისთვის გამოითვლება, როგორც მაქსიმალური მაჩვენებელი პენსიის ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო დონით ზრდის შედეგად მიღებულ დონესა და 20 ლარს შორის. მაღალი ასაკის პენსიონერებისთვის კი არსებული პენსიის კორექტირება ხდება ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო დონითა და მშპ-ს ბოლო 6 კვარტლის საშუალო რეალური ზრდით, ხოლო პენსიის რაოდენობა იქნება მიღებულ შედეგსა და 25 ლარს შორის არსებული მაქსიმალური მაჩვენებელი.

დაბალი ასაკი: მაქსიმუმი [(წინა წლის პენსია * ინფლაცია) ან 20 GEL]

მაღალი ასაკი: მაქსიმუმ [(წინა წლის პენსია * ინფლაცია * (რეალური მშპ-ს ზრდა * 0.8)) ან 25 GEL]

შესაბამისად, დაბალი და მაღალი ასაკის პენსიონერებისთვის გაიანგარიშება ყოველთვიური პენსიის რაოდენობა აღნიშნული მაჩვენებლით კორექტირების შედეგად. ამის შემდეგ კი გამოითვლება ყოველწლიური საპენსიო დანახარჯი, შესაბამისი ასაკის პენსიონერთა ჯგუფებისთვის, მათი რაოდენობის გათვალისწინებით. პენსიონერთა რაოდენობის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია, რომ ქალთა საპენსიო ასაკი იწყება 60 წლიდან, ხოლო მამაკაცების - 65 წლიდან.

ფაქტობრივ საპენსიო ხარჯებსა და აღნიშნული მიდგომით გამოთვლილ ხარჯებს შორის მცირე განსხვავებიდან გამომდინარე, არსებული განსხვავების აღმოსაფხვრელად მომდევნო წლებისთვის მაჩვენებლები შესწორებულია ე.წ. მაკორექტირებელი კოეფიციენტის საშუალებით.

გამოთვლებისათვის გამოყენებული საბაზისო სცენარი გულისხმობს შობადობის საშუალო სცენარს.

დანართები

დანართი 1. სახელმწიფო საწარმოები

	საწარმოს დასახელება	სახელმწიფოს წილი %	დამფუძნებელი	PC/GG	დარგი	ბრუნვა 2025 (ათასი ლარი)
1	შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია	100	ააიპ სოფლის განვითარების სააგენტო	GG	სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	1.6
2	შპს ვარდების რევოლუციის პარკი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	PC	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	.1
3	შპს იმერეთის აგრო ზონა	100	ააიპ სოფლის განვითარების სააგენტო	GG	სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	.0
4	შპს ქ. თბილისის N3 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	.2
5	სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი	92	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	.6
6	სს ფილტვის ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	100	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	.7
7	შპს თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო	100	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი	PC	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	.2
8	შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა	100	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი	PC	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1.0
9	შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი	100	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	.9
10	შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი	100	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	21.1
